პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 193 (5294) | სამშაბათი, 23 აგვისტო 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი:

საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზებულობა და ძლიერება („პრავდის" მოწინავე).

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია: დეპუტატ ლ. პ. ბერიას სიტყვა; კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 21 აგვისტოს გაერთიანებული სხდომის დღიური (1-ლი და მე-2 გვ.).

პარტიული ცხოვრება: გადმოვიტანოთ ლენინგრადის მოწინავე პარტორგანიზაციათა გამოცდილება; კანდიდატებთან სუსტად მუშაობენ (მე-3 გვ.)

მ. ს. შჩეპკინი (მე-3 გვ.)

გ. სოლომონია — მოსახლეობის 1939 წლის საკავშირო აღწერა (ფელეტონი. მე-3 გვ.)

უცხოეთში:

გერმანიის საომარი მზადება ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე (მე-4 გვ.)

მშვიდობიანობის დარაჯი აღმოსავლეთ ევროპაში (მე-4 გვ.)

რესპუბლიკელები გმირულად იგერიებენ მეამბოხეთა იერიშებს (მე-4 გვ.).

საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზებულობა და ძლიერება

გუშინ დაამთავრა თავისი მუშაობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ. თორმეტი დღის განმავლობაში მთელი ჩვენი ქვეყნის ყურადღება მიპყრობილი იყო კრემლის დიდი სასახლისაკენ, სადაც მიმდინარეობდა ხალხის რჩეულთა მუშაობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ გადასწყვიტა მთელი რიგი საკითხები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სახელმწიფოსათვის, მთელი ჩვენი ხალხისათვის. სესიამ ერთხმად დაამტკიცა სსრ კავშირის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც ნათლად მოწმობს ჩვენი სამშობლოს აყვავებას, ხალხის კეთილდღეობის ზრდას. ამ ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი — 47,2 მილიარდი მანეთი—სახალხო მეურნეობის დაფინანსებას ხმარდება.

27 მილიარდი იხარჯება თავდაცვისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატების ხარჯთაღრიცხვებით. სამშობლოს დაცვა საბჭოთა ხალხს თავის წმინდათა-წმინდა მოვალეობად მიაჩნია!

მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯებს.

ხალხის რჩეულებმა გამოხატეს რა მთელი საბჭოთა ხალხის ნებისყოფა, მხურვალედ დაუჭირეს მხარი ბიუჯეტის პროექტს, რომელიც განსახილველად წარუდგინა სესიას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა გულმოდგინედ განიხილეს ბიუჯეტის ყველა მუხლი და აღნიშნეს, რომ საჭიროა უსასტიკესად იქნას დაცული საბიუჯეტო დისციპლინა, საჭიროა, როგორც კარგ პატრონს შეჰფერის, ყაირათით მოვეპყრათ ხალხის თვითეულ კაპიკს.

მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონით ჩაატარეს უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოს წყობილების დებულების" პროექტის განხილვა. ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვით აღსავსე დეპუტატებმა სრული ერთსულოვნებით დაამტკიცეს კანონი სასამართლოს წყობილების შესახებ, დიადი სტალინური კონსტიტუციის სულით გამსჭვალული კანონი, რომელსაც დიდ სიმაღლეზე აჰყავს სასამართლოს ავტორიტეტი და მისი აღმზრდელობითი როლი. საბჭოთა სასამართლოს წინაშე, რომელიც სოციალისტური დემოკრატიის პრინციპებს ახორციელებს, უდიდესი ასპარეზი იშლება ხალხისა და სოციალისტური სახელმწიფოს საკეთილდღეოდ სასარგებლო, ნაყოფიერი მუშაობისათვის. ლენინის დიდმა მცნებამ სასამართლოს მუშაობაში, ისევე როგორც სახელმწიფოს მთელ მართვა-გამგეობაში, უკლებლივ ყველა მოქალაქის მონაწილეობის შესახებ თავისი ბრწყინვალე გამოხატულება ჰპოვა უმაღლესი საბჭოს მიერ სასამართლოს წყობილების შესახებ მიღებულ კანონში. დეპუტატებმა კონსტიტუციის სრული შესაბამისობით აქვე სესიაზე აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო; ისინი დიდი გულმოდგინებითა და დაკვირვებით მიუდგნენ თვითეულ კანდიდატურას.

დიდი აღფრთოვანებით, აღტყინებითა და მხურვალედ განიხილეს და დაამტკიცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა პროექტი კანონისა „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ". დეპუტატების სიტყვები, პროექტის განხილვისადმი მიძღვნილი, აღსავსე იყო მგზნებარე პატრიოტიზმით, კანონიერი სიამაყით თავისი სამშობლოთი, რომლის მოქალაქედ ყოფნაც დიდი პატივი, დიდი ბედნიერება არის.

სესიამ ერთხმად დაამტკიცა „კანონი სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაციისა და დენონსაციის წესის შესახებ". ხალხის რჩეულებმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნეს ჩვენი ქვეყნის მიერ დადებულ ხელშეკრულებათა ურღვევობა. ჩვენ მშვიდობიანი მდიდარი, აყვავებული ძლიერი სახელმწიფო ვართ, რომლის სიტყვა მტკიცე და საფუძვლიანია. სსრ კავშირის საერთაშორისო პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს მშვიდობიანობისათვის ბრძოლა და თავის საერთაშორისო ვალდებულებათა დაცვა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ განიხილა და ერთხმად დაამტკიცა „კანონი ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადის შესახებ". ამ კანონს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სოფლის ცხოვრებისათვის. იგი ხელს შეუწყობს ერთპიროვნულ მეურნეობათა შორის დისციპლინის განმტკიცებას სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებაში, ხელს შეუწყობს ყველა პატიოსან ერთპიროვნულ მეურნეობათა შემდგომ ჩაბმას სახელმწიფო ვალდებულებების შესრულებაში, ხელს შეუწყობს ყველა პატიოსან ერთპიროვნულ მეურნეთა შემდგომ მოზიდვას კოლმეურნეობებში, აღკვეთს ჩარჩული ელემენტების საქმიანობას, დაეხმარება კოლმეურნეობათა შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას. სესიის დიდი ყურადღება მიიპყრეს აგრეთვე სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენასთან დაკავშირებულმა საკითხებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცებით, რომლებიც მიღებულია პირველსა და მეორე სესიას შორის განვლილ პერიოდში, დამთავრდა სესიის მუშაობა. დეპუტატები თავიანთ სახლებში მიდიან, რათა შინ, ადგილობრივ იშრომონ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონების რეალიზაციაზე, რათა განუმარტონ ხალხს ამ კანონების შინაარსი და დიდი მნიშვნელობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადჰყო ბოლშევიკური ორგანიზებულობისა და გამრჯელობის მაგალითი. ბურჟუაზიული პარლამენტების დამახასიათებელი ლაყბობის გარეშე, დინჯად და ორგანიზებულად სწყვეტდნენ ხალხის რჩეულნი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ერთსულოვნება, რაც მათ კანონპროექტების განხილვისა და მიღების დროს გამოიჩინეს, წარმოადგენს ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო გაერთიანებული საბჭოთა ხალხის ერთსულოვნების ბრწყინვალე გამოხატულებას, საბჭოთა ხალხისას, რომელიც აღფრთოვანებულია კომუნიზმის მაღალი იდეალებით, რომელიც მთელ თავის ძალღონეს ანდომებს მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი წარმატებისათვის ბრძოლას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები უდიდესი ენტუზიაზმით მიესალმნენ ამხანაგ სტალინს— საბჭოთა ხალხის მამასა და მეგობარს. სესიის საბოლოო სხდომა დამთავრდა მქუხარე ოვაციით გამარჯვებული სოციალიზმის დიადი კონსტიტუციის შემოქმედის პატივსაცემად, ოვაციით, რომელიც გამოხატავს საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელთა მგზნებარე სიყვარულს ამხანაგ სტალინისადმი.

ამხანაგი სტალინი სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში საბჭოების სრულიად - საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე ამბობდა:

„...სსრ კავშირში უკვე აღარ არიან ისეთი კლასები, როგორც კაპიტალისტები, მემამულეები, კულაკები და ა. შ. სსრ კავშირში არის მხოლოდ ორი კლასი—მუშები და გლეხები, რომელთა ინტერესები არა თუ მტრული არ არის, არამედ, პირიქით —მეგობრულია".

მუშათა და გლეხთა მეგობრობა, მათი ინტერესების ერთიანობა უძევს საფუძვლად საბჭოთა ხალხის ერთსულოვნებას. სსრ კავშირის პროლეტარიატი სავსებით ახალ კლასად იქცა, სსრ კავშირის მუშათა კლასად, რომელმაც მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა მოსპო, საწარმოო იარაღებისა და საშუალებების სოციალისტური საკუთრება დაამკვიდრა და რომელიც კომუნიზმის გზით წარმართავს საბჭოთა საზოგადოებას. ჩვენი საბჭოთა გლეხობა თავისი უდიდესი უმეტესობით კოლმეურნე გლეხობაა, რომელიც კოლექტიურად მუშაობს სოციალისტური სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის მძლავრ ბაზაზე. ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც მთელი ფესვებით მუშათა კლასთან და გლეხობასთან არის დაკავშირებული, ხალხს ემსახურება, მუშებთან და გლეხებთან ხელიხელჩაკიდებული მუშაობს კომუნისტური საზოგადოების შესაქმნელად.

მთელი ხალხის მონოლიტური მჭიდრო დარაზმულობა ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო ჩვენს სახელმწიფოს ისეთს ძლიერებას ანიჭებს, რომელსაც შეუძლია გაასამტვეროს ყველა მტერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუშაობას, ჩვენი სამშობლოს შემდგომი განმტკიცებისაკენ მიმართულს, უაღრესად მხურვალე მოწონებით ეგებება მთელი დიადი საბჭოთა ხალხი.

„პრავდის" მოწინავე, 22/VIII

კურსები პარტკომების მდივნების მოადგილეებისა და პარტორგანიზატორების მოადგილეების გადასამზადებლად

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი 25 აგვისტოდან აწყობს პარტკომების მდივნების მოადგილეების და პარტორგანიზატორების მოადგილეების გადასამზადებელ ოთხდღიან კურსებს. კურსების მეცადინეობა მოეწყობა წარმოებიდან მოუწყვეტლივ 2 ჯგუფად, რომელთაგან ერთი ქართული იქნება, ხოლო მეორე—რუსული.

პროგრამაში გათვალისწინებულია საუბრები შემდეგ საკითხებზე: ამხანაგ **სტალინის** მოხსენება და საბოლოო სიტყვა თებერვალ-მარტის პლენუმზე, პარტიული კრება, მისი მომზადება და ჩატარება, პარტიული დოკუმენტების შევსება, აგიტაცია მოსახლეობაში, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის შესახებ, საერთაშორისო მდგომარეობა.

კურსებზე იმეცადინებს 200-მდე ამხანაგი.

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

დეპუტატ ლ. პ. ბერიას სიტყვა

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 21 აგვისტოს გაერთიანებულ სხდომაზე

ამხანაგებო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო! სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საკითხს, რომელსაც სესია იხილავს, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. გამოფენამ უნდა ცხადჰყოს ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის უდიდესი წარმატებანი.

ჩვენი პარტია, ლენინი, სტალინი ყოველთვის ყურადღების ცენტრში აყენებდნენ სოფლად პარტიის პოლიტიკის საკითხებს, საკითხს მუშათა კლასის კავშირის შესახებ გლეხობასთან, და განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდნენ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას.

შემთხვევითი როდია, რომ ხალხის მტრებს — ყველა ამ ტროცკებს, ბუხარინებს, რიკოვებს, ზინოვიევებს და სხვა გამცემლებსა და მოღალატეებს, — რომლებიც გამომჟღავნებული და განადგურებული არიან, მრავალი წლის მანძილზე მოჰქონდათ ვულგარძლიანი, გაფთრებული პროვოკაციული იერიშები გლეხთა საკითხში ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინური ხაზის წინააღმდეგ, ცდილობდნენ რა დაერღვიათ მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან, ჩაეფუშათ სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმე.

ბოლშევიკების პარტიამ დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით თავის გარშემო დარაზმა მუშათა კლასი და მრავალმილიონიანი გლეხობა, გაანადგურა მტრები და უზრუნველჰყო საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგ სტალინის უდიდესი ისტორიული დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან მრავალრიცხოვან მტრებთან ბრძოლაში დაიცვა ლენინიზმი, გენიალურად განავითარა იგი ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის პირობებში და უზრუნველჰყო სოციალიზმის გამარჯვება! **(მქუხარე ტაში).**

კაცობრიობის ისტორიაში პირველად არის შექმნილი სოციალისტური წყობილება, რომლის დროსაც, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობდა თავის მოხსენებაში საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მერვე ყრილობაზე, „ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია მოსპობილია, ლიკვიდირებულია, ხოლო საწარმოო იარაღებისა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება დამკვიდრებულია, როგორც ჩვენი საბჭოთა საზოგადოების ურყევი საფუძველი".

ჩვენი დიადი სამშობლოს მშრომელები უზრუნველყოფილი არიან ბედნიერი, შეძლებული და კულტურული ცხოვრებით.

საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ყველაზე დიდი სოციალისტური მიწათმოქმედების ქვეყანაა.

ინდუსტრიალიზაციის სტალინური პოლიტიკის გამარჯვების შედეგად ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა უმდიდრესი ტექნიკით არის შეიარაღებული და მძლავრ მექანიზებულ ბაზას ემყარება.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარებამ, დიდი რუსი ხალხის მუდმივმა დახმარებამ, სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო მთავრობის ყოველდღიურმა ყურადღებამ და მზრუნველობამ უზრუნველჰყო სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის გაფურჩქვნა ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებში.

ამხანაგმა სტალინმა გენიალური სიცხადით გამოხატა სოციალიზმის გამარჯვებათა შედეგად სსრ კავშირის ხალხთა ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებანი. ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„არარსებობამ ექსპლოატატორთა კლასებისამ, რომლებიც ნაციათა შორის ჩხუბის ძირითად ორგანიზატორებს წარმოადგენენ, არარსებობამ ექსპლოატაციისამ, რომელიც ურთიერთუნდობლობას ნერგავს და ნაციონალისტურ ვნებებს აღვივებს; იმან, რომ ძალაუფლების სათავეში სდგას მუშათა კლასი, რომელიც მტერია ყოველგვარი დამონებისა და ერთგული მატარებელია ინტერნაციონალიზმის იდეებისა; ხალხთა ურთიერთდახმარების ფაქტიურმა განხორციელებამ სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში; ბოლოს, სსრ კავშირის ხალხთა ნაციონალური კულტურის, ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებამ,—ყოველივე ამან და მათმა მსგავსმა ფაქტორებმა მიგვიყვანა იქამდე, რომ ძირფესვიანად შეიცვალა სსრ კავშირის ხალხთა სახე, გაჰქრა მათში ურთიერთუნდობლობის გრძნობა, განვითარდა მათში ურთიერთმეგობრობის გრძნობა და, ამგვარად, მოგვარდა ხალხთა ნამდვილი ძმური თანამშრომლობა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს სისტემაში".

საბჭოთა საქართველოს მაგალითზე ისევე, როგორც ყოველი სხვა ნაციონალური რესპუბლიკისა და ოლქის მაგალითზე, შეიძლება მკაფიოდ ნათელვყოთ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება.

საქართველო, ძველი, როგორც მეფის რუსეთის მრავალი სხვა „განაპირა მხარე" რომელიც ორმაგ ჩაგვრას განიცდიდა ცარიზმისა და თავის მემამულე-ფეოდალთა მხრივ, წარსულში ღარიბი, გაღატაკებული და უუფლებო საქართველო, ახლა ბოლშევიკთა პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ერთიერთ მოწინავე, აყვავებულ რესპუბლიკად გადაიქცა.

ქართველ გლეხს არ მოეპოვებოდა მიწა, რომელიც მემამულეების, თავადებისა და სამღვდელოების ხელში იყო. დასავლეთ საქართველოში გლეხს და მის ოჯახს 4-6 თვეს ძლივს ჰყოფნიდა ის, რასაც იგი თავისი სრულიად უმნიშვნელო მიწის ნაკვეთის დამუშავებით იღებდა. ამიტომ, საშოვრის ძებნაში, იგი იძულებული იყო მიეტოვებინა მშობლიური კერა და შორეულ მხარეებში წასულიყო სამუშაოდ. ხშირად შეხვდებოდით ქართველ გლეხს ტუაპსეს, ნოვოროსიისკის, ოდესის ნავსადგურებში, ციმბირსა და მეფის რუსეთის სხვა შორეულ რაიონებში.

საქართველოში მენშევიკების — ქართველი ხალხის ამ გამცემლების და მოღალატეების და საერთაშორისო იმპერიალიზმის საზიზღარი აგენტების ბატონობის წლებში ქართველი გლეხის მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე და უუფლებო გახდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ სრულიად გარდაჰქმნა საქართველოს სოფლის მეურნეობა. მაღალ დონეს მიაღწია სოფლის მეურნეობის მექანიზაციამ. საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები განსაკუთრებით მრავალფეროვანია, და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი მათი გამოყენება და მშრომელთა სამსახურში დაყენება. უძვირფასესი სუბტროპიკული სპეციალური და ტექნიკური კულტურები — ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, ვაზი, კეთილშობილი დაფნა, ტუნგო, რამი და სხვები — მტკიცედ დამკვიდრდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში.

დასავლეთ საქართველოში, იქ, სადაც წინათ მინდვრებზე მოდებული იყო გარეული გვიმრა, ახლა საუცხოოდ ჰყვავის ჩაის, ციტრუსების, ეთეროვანი კულტურების პლანტაციები, რომლებიც ქართველი კოლმეურნე გლეხობის შეძლებული ცხოვრების საფუძველს შეადგენენ.

თუ საბჭოთა ხელისუფლებამდე სულ რამდენიმე ასეული ჰექტარი ჩაი მოიპოვებოდა, ამჟამად ჩაის პლანტაციები 44 ათას ჰექტარამდე გაიზარდა. წლითიწლობით იზრდება ჩაის მოსავლიანობა. 1937 წელს მოკრეფილი იყო 27 მილიონი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, მიმდინარე წელს კი 35 მილიონი კილოგრამი დამზადდება, 34 სანიმუშოდ მოწყობილ ჩაის ფაბრიკაში გადამუშავდება და სახელმწიფოს ჩაჰბარდება 8 მილიონი 260 ათასი კილოგრამი, ანუ ნახევარ მილიონ ფუთზე მეტი მზა პროდუქცია, რომელიც თავისი ხარისხით ცეილონისა და ჩინეთის საუკეთესო ხარისხის ჩაის არ ჩამოუვარდება.

უახლოეს ორ-სამ წელიწადში ჩვენ ქართული ჩაით დავაკმაყოფილებთ საბჭოთა კავშირის მშრომელთა მთელს მოთხოვნილებას.

დიდი მუშაობა ჩატარდა საქართველოში ციტრუსოვანი კულტურების — მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის განვითარების დარგში, რომლებსაც რევოლუციამდე მხოლოდ ცალკეულ მეურნეობებში შეხვდებოდით როგორც იშვიათ მცენარეებს. ამჟამად ციტრუსოვანთა ფართობი დაახლოებით 10 ათას ჰექტარს უდრის, და შექმნილია მძლავრი სანერგე ბაზა (12 მილიონი ნერგი) ციტრუსოვანთა მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და გაფართოებისათვის. 1937 წელს ჩვენ დავამზადეთ ციტრუსოვანთა 300 მილიონი ცალი ნაყოფი, ნაცვლად 1932 წელს დამზადებული 11 მილიონი ცალისა.

საუკეთესო ხარისხის მაღალი ღირსების თამბაქო მოდის საქართველოში. განუხრელად მატულობს მისი მოსავლიანობა და უმჯობესდება ხარისხიანობა. საქართველოს 22 ათასი ჰექტარი თამბაქოს პლანტაცია მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირის თამბაქოს ფაბრიკებს 16 ათას ტონაზე მეტ თამბაქოს მისცემს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგი — მევენახეობა — მენშევიკებმა საქართველოში მათი ბატონობის დროს თითქმის სრულ განადგურებამდე მიიყვანეს.

ამჟამად ვენახების ფართობი დაახლოებით 45 ათას ჰექტარს უდრის და ეს ფართობი 1942 წლისათვის კიდევ 20 ათასზე მეტი ჰექტარით გაიზრდება.

საქართველოს ღვინო სამართლიანად ითვლება ჩვენი ქვეყნის ერთერთ საუკეთესო ღვინოდ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შამპანური ჯიშების ფართოდ დანერგვას, რომელთა განვითარებისთვისაც საქართველოში ყველა პირობა მოიპოვება.

საქართველოში დიდი სპეციალური საწარმოები შენდება შამპანური ჯიშების ყურძნის გადასამუშავებლად. 1940 წელს საქართველოში გამოშვებული იქნება 4 მილიონი ბოთლი მაღალხარისხოვანი საბჭოთა შამპანური.

მრავალი სხვადასხვანაირი ნაყოფი მწიფდება საქართველოს საკოლმეურნეო ბაღებში. მარტო 1937 წელს გაშენებულ იქნა 7 ათას ჰექტარზე მეტი ხეხილის ბაღები. საქართველოს 38 რაიონში გვაქვს მეხილეობის სანერგე მეურნეობანი. ხილის ნარგავების საერთო ფართობი 60 ათას ჰექტარს უდრის.

სუბტროპიკული ხილი — მუშმულა, ფეიხოა, იაპონური ხურმა ფართოდ გავრცელდა დასავლეთ საქართველოს რაიონებში. მთელმა რიგმა სხვა უძვირფასესმა კულტურებმა — ტუნგომ, რამმა, ევკალიპტმა, ეთეროვანმა და სხვა კულტურებმა, რომლებიც საქართველოს კლიმატურ და ნიადაგობრივ პირობებს შეეფერებიან, — მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს იწყეს განვითარება სამრეწველო მასშტაბით.

ტუნგოს ხის კულტურას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის. ამ ხისგან მზადდება ლაქი, რომელიც ჟანგისაგან იცავს გემების წყალქვეშა ნაწილებს. ტუნგოს ზეთი სავალდებულო შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს საიზოლაციო მასალების დასამზადებლად, ელექტროტექნიკურ მრეწველობისათვის, თვითმფრინავმშენებლობაში. ტუნგოს ზეთის ლაქწასმული საგნები ცეცხლგამძლე ხდებიან, მათზე გავლენას ვერ ახდენს სინესტე და მჟავა.

საქართველოში ტუნგოს კულტურის განვითარება საბჭოთა კავშირს მრეწველობის საჭიროებისათვის ტუნგოს ზეთის იმპორტის აუცილებლობისაგან გაანთავისუფლებს. ამჟამად საქართველოში ტუნგოს პლანტაციებს 12 ათასზე მეტი ჰექტარი უჭირავთ, მაშინ როდესაც 1930 წელს მათ ერთი ჰექტარი ეჭირათ. რამის კულტურას 1,5 ათასი ჰექტარი უჭირავს. წელს ჩაბარებული იქნება 12 ათას ტონაზე მეტი მწვანე მასა. რამი იძლევა ძალიან მკვრივ ქსოვილს, რომელიც ჩვენი საავიაციო მრეწველობის საჭიროებას ხმარდება.

საქართველოში კოლმეურნე გლეხობის ერთერთ უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ევკალიპტის კულტურის დანერგვა და განვითარება. ეს არის მუდამ მწვანე, სწრაფად მზარდი ხე, რომელიც სამი-ოთხი წლის განმავლობაში 12—15 მეტრ სიმაღლეს აღწევს და საუცხოო, ძვირფას მერქანს იძლევა გემთმშენებლობისა და რკინიგზის შპალებისათვის. ევკალიპტი შესანიშნავ საშუალებას წარმოადგენს აგრეთვე დაჭაობიანებული ადგილების გასაჯანსაღებლად. ევკალიპტის ფოთლებისაგან დამზადებულ ზეთს ფართოდ იყენებენ მედიცინაში. უკანასკნელი ორნახევარი წლის განმავლობაში უკვე დარგულია 4 მილიონ ძირზე მეტი ახალგაზრდა ევკალიპტი.

სპეციალური და ტექნიკური კულტურების განვითარებასთან ერთად ჩვენში იზრდება მარცვლეული კულტურების ფართობი და მატულობს მათი მოსავლიანობა. 1937 წელს მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი დაახლოებით 70 მილიონ ფუთს უდრიდა.

საქართველოს კოლმეურნეებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს მეაბრეშუმეობის დარგში. მიმდინარე წელს კოლმეურნეები ერთი კოლოფი თესლიდან პირველი გამოკვების დროს საშუალოდ 43 კილოგრამზე მეტს ღებულობდნენ და დაახლოებით 3,5 ათასი ტონა პარკი მისცეს აბრეშუმის მრეწველობის საწარმოებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კოლხიდის დაბლობის დაშრობის სამუშაოებს, რაც ახლა სწარმოებს. კოლხიდის დაბლობის ზონაში მდებარე ქალაქებსა და სოფლებს დიდ ზიანს აყენებდა წყალდიდობა, თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ჭაობები მალარიის გავრცელების კერას წარმოადგენდა. დღეისათვის დამთავრებული და აგებულია 150 კილომეტრზე მეტი საცავი მიწაყრილები, რომლებიც წყალდიდობის დროს წალეკვისაგან იცავენ 29 ათას ჰექტარ ფართობს. აგებულია 10 მაგისტრალური არხი 98 კილომეტრი საერთო სიგრძით და 43 კოლექტორი 179 კილომეტრი სიგრძით. აგებული დასაშრობი ქსელის სიგრძე 587 კილომეტრს უდრის. შესრულებულ მიწის სამუშაოთა საერთო მოცულობა დაახლოებით 8 მილიონ კუბ. მეტრს შეადგენს.

დიდი წყალუხვი მდინარე რიონი, რომელიც კოლხიდის დაბლობში მიედინება, რომელიც სისტემატურად დიდ უბედურებას ატეხს თავს მოსახლეობას და წალეკავს ხოლმე მრავალ ათეულ ათას ჰექტარ მიწას და ქალაქ ფოთს, ახალ კალაპოტში იქნება გადაგდებული.

კოლხიდის დაბლობის დაშრობის სამუშაოები, რომლებიც ახლა ტარდება, მთლიანად ციტრუსოვანი კულტურების, ჩაის, ევკალიპტის და სხვა პლანტაციებით გაშენებულ მხარედ გადააქცევენ მას.

ყველა ეს ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომლებიც ესოდენ საჭიროა ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოსათვის, კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობისა და შემოსავლის წყაროს წარმოადგენენ. მარტო ჩაის, ციტრუსებისა და თამბაქოს კულტურების ჩაბარებულ პროდუქციაში 1937 წელს კოლმეურნეებმა სახელმწიფოსაგან 200 მილიონ მანეთზე მეტი მიიღეს.

საკოლმეურნეო წყობილებამ ქართველ გლეხობას ბედნიერება, შეძლებულობა, კულტურა მოუტანა. საქართველოს სოფლები კოლმეურნეთა ახალი ფართო და მოხერხებული სახლებით, ახალი სკოლებით, თეატრებით, კლუბებით, საბავშვო ბაღებით, საავადმყოფოებითა და პარკებით გაშენდა.

საქართველოს საკოლმეურნეო მინდვრებზე, ქართველ კოლმეურნეთა სახლებში მღერიან სიმღერებს შრომის სიხარულზე, მხურვალე სიყვარულსა და ერთგულებაზე იმისადმი, ვინც ხალხთა ბედნიერება და თავისუფლება გამოსჭედა,— დიდი სტალინისადმი **(მქუხარე ტაში).**

ამ წარმატებებს სოფლის მეურნეობის, მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის აღმავლობის დარგში ჩვენ იმ ყურადღების, დახმარებისა და ხელმძღვანელობის შედეგად მივაღწიეთ, რომლებსაც გვიწევდნენ და გვიწევენ ჩვენ, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს, მხარეებსა და ოლქებს, პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა კავშირის მთავრობა და პირადად ჩვენი დიდი სტალინი. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგო დეპუტატებო! სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის მოწყობა საშუალებას მოგვცემს ჩვენ, ისევე როგორც ყველა სხვა რესპუბლიკას, ოლქებსა და მხარეებს, ცხადვყოთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიღწევები, დაგვეხმარება იმ მხრივ, რომ ერთმანეთს გავუზიაროთ მუშაობის გამოცდილება, ხელს შეუწყობს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისა და სოციალისტური მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლის საქმეს.

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

დეპუტატ ლ. პ. ბერიას სიტყვის დასასრული

მთავრობის გადაწყვეტილებამ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობის შესახებ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს კოლმეურნე გლეხობის ფართო მასებში. დღეისათვის შემოსულია 17 ათასი განცხადება კოლმეურნეობებისაგან, საბჭოთა მეურნეობებისაგან, ბრიგადებისაგან და სოფლის მეურნეობის მოწინავეებისაგან, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ გამოფენაში.

გამოფენაში მონაწილეობის მიღების უფლების მოსაპოვებლად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების შედეგად ჩვენ მიერ უკვე შერჩეულია და მთავარი საგამოფენო კომიტეტისადმი დასამტკიცებლად წარდგენილია 350-ზე მეტი კოლმეურნეობა, 24 საბჭოთა მეურნეობა და სოფლის მეურნეობის 1134 მოწინავე.

დეპუტატი ხრუშჩოვი სავსებით სწორად მიუთითებდა სსრ კავშირის მიწსახკომისა და მთავარი საგამოფენო კომიტეტის მუშაობის ნაკლოვანებებზე სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობის საქმეში. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილი აქვს დუბლირებას მეურნეობის ცალკეული დარგების მიღწევათა ჩვენებაში: ერთსადაიმავე ობიექტს უჩვენებენ როგორც საკავშირო სახალხო კომისარიატები, ისე რესპუბლიკური სახალხო კომისარიატებიც.

სსრ კავშირის მიწსახკომმა და საგამოფენო კომიტეტმა დუბლირება უნდა აღმოფხვრან და საშუალება უნდა მისცენ რესპუბლიკებს, მხარეებსა და ოლქებს უფრო სრულად უჩვენონ თავისი მიღწევები. მიწსახკომს და საგამოფენო კომიტეტს სრულიად გამოეპარათ მხედველობიდან სოფლის მეურნეობის ზოგიერთი ახალი დარგი, რომლებიც უკანასკნელ წლებში განვითარდა, მაგალითად, რამის, კეთილშობილი დაფნის, ევკალიპტის, თხილისა და სხვა კულტურები. მთელ რიგ შემთხვევებში მიწსახკომმა და საგამოფენო კომიტეტმა გამოფენაზე მონაწილეობის მოპოვების უფლება განსაზღვრეს რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით, პროდუქციის ხარისხის გაუთვალისწინებლად.

საგამოფენო კომიტეტის მუშაობაში ადგილი აქვს დიდ ორგანიზაციულ არევ-დარევას: ხშირად იცვლებოდა ექსპონატების წარდგენის გეგმები და ვადები, იცვლებოდა თვით სოფლის მეურნეობის მიღწევების ჩვენების თემატიკა. საქმე იქამდე მივიდა, რომ იმ ექსპონატების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც სსრ კავშირის მიწსახკომისა და მთავარი საგამოფენო კომიტეტის დაჟინებითი მოთხოვნით გამოიგზავნა, მათი მხრივ ცუდი ხელმძღვანელობის გამო დაიღუპა, ხოლო ის, რაც გადარჩა, უმწეო მდგომარეობაშია.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სამი მოკავშირე რესპუბლიკის —საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის — ექსპონატები ერთ შენობაშია მოთავსებული, რაც საშუალებას არ იძლევა უფრო სრულად იქნას წარმოდგენილი თვითეული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მიღწევები.

სავსებით სწორად მიმაჩნია დეპუტატ ხრუშჩოვის მიერ უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დეპუტატთა ჯგუფის სახელით შემოტანილი წინადადება სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის ვადის 1939 წლისათვის გადატანის შესახებ. ეს საშუალებას მოგვცემს როგორც ჩვენ, ისე ყველა სხვა რესპუბლიკას, ოლქებსა და მხარეებს, უკეთ მოვემზადოთ და გაცილებით უფრო სრულად წარმოვადგინოთ გამოფენაზე ჩვენი წარმატებანი სოფლის მეურნეობის დარგში. ეს საშუალებას მისცემს მიწსახკომსა და მთავარ საგამოფენო კომიტეტს გაითვალისწინონ სესიაზე გაკეთებული კრიტიკული შენიშვნები და აღმოფხვრან მათს მუშაობაში არსებული სერიოზული შეცდომები და ნაკლოვანებანი.

ამხანაგო დეპუტატებო! ეჭვი არ არის, რომ სსრ კავშირის მთავრობის ხელმძღვანელობით სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენა იმგვარად მოეწყობა, რომ იგი შესძლებს ნამდვილად უჩვენოს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სოფლის მეურნეობის უდიდესი წარმატებანი, რომლებიც მიღწეულია საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებათა, სოციალიზმის გამარჯვებათა სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის, — კაცობრიობის უდიდესი გენიოსის, ჩვენი საყვარელი, მშობლიური ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 21 აგვისტოს გაერთიანებულ სხდომაზე

21 აგვისტოს, საღამოს, სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მეხუთე, საბოლოო გაერთიანებული სხდომა.

ლოჟებში არიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და სახალხო კომისრები.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი.**

დღისწესრიგში არის საკითხი სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის შესახებ, შეტანილი უკრაინის სს რესპუბლიკის დეპუტატთა ჯგუფის მიერ.

მოხსენებით ამ საკითხზე გამოდის დეპუტატი **ნ. ს. ხრუშჩოვი.**

დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე სრულიად-საკავშირო ყრილობის თხოვნით, სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობის შესახებ,—ამბობს ამხ. ხრუშჩოვი,—იმავე დღეს გამოტანილ იქნა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ დაკმაყოფილებულიყო დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად - საკავშირო ყრილობის თხოვნა და მოწყობილიყო სრულიად-საკავშირო სასოფლო სამეურნეო გამოფენა მოსკოვში.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე დემონსტრირებულ უნდა იქნას სოციალიზმის გამარჯვებები ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება ბოლშევიკების ისტორიულ მონაპოვარს წარმოადგენს. რა იყო სოფელი რევოლუციამდე და რა გახდა იგი ახლა?

1910 წლის აღწერით რუსეთის გლეხურ მეურნეობაში ითვლებოდა 7.800 ათასი სახნისი და კავი, 2.200 ათასი ხის გუთანი, 17.700 ათასი ხის ფარცხი. ახლა ჩვენ გვაქვს 6.158 მტს, სადაც ითვლება 197.748 კომბაინი, 138.873 ავტომანქანა, 104.323 რთული და ნახევრადრთული სალეწი მანქანა. დაახლოებით 500 ათასი ტრაქტორი მუშაობს ჩვენს საბჭოთა მინდვრებზე. სოფლად ჩვენში გამოიზარდნენ საკუთარი საბჭოთა კადრები. სოფლად ამჟამად ითვლება 734 ათასი ტრაქტორისტი, 165 ათასი კომბაინერი, 124 ათასი შოფერი, 240.000 კოლმეურნეობის თავმჯდომარე, 535.300 მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირი, 263.800 მეცხოველეობის ფერმების გამგე და მეცხოველეობის ბრიგადების ბრიგადირი. ეს არის უდიდესი არმია, რომელიც ამჟამად ხელმძღვანელობს ბრძოლას მაღალი სტალინური მოსავლის მიღებისათვის, 7-8 მილიარდი ფუთი პურის მიღებისათვის ჩვენი სოციალისტური მინდვრებიდან ყოველწლიურად.

გლეხი მუდამ მიწაზე ოცნებობდა, მაგრამ ეს მიწა მას შეეძლო მიეღო მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთან ერთად. რევოლუციამდე მიწის უდიდესი ნაწილი მემამულეებს, მონასტრებს, კულაკობას და სხვა ექსპლოატატორებს ეკუთვნოდათ. უკრაინაში მთელი მიწის ნახევარზე მეტი მემამულეებს ეკუთვნოდათ. უკრაინის ტრამალურ ზონაში მხოლოდ მიხეილ რომანოვს ეკუთვნოდა 75 ათასი დესეტინა. სახელმწიფო სათათბიროს ყოფილ თავმჯდომარეს როძიანკოს ეკუთვნოდა 26.500 დესეტინა.

ამჟამად ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ითვლება 243 ათასი კოლმეურნეობა, სადაც გაერთიანებულია გლეხურ მეურნეობათა 93 პროცენტი. მეურნეობები აერთიანებენ 18 მილიონზე მეტ გლეხურ კომლს და უკავიათ გლეხურ მეურნეობათა ყველა სათესი ფართობის 99 პროცენტი.

რევოლუციამდე მემამულეებსა და კულაკებს ეკუთვნოდათ მთელი სასაქონლო პურის 72 პროცენტი. ამჟამად სასაქონლო პურის 97 პროცენტი მოჰყავთ საბჭოთა მეურნეობებს და კოლმეურნეობებს. მეფის რუსეთს საშუალოდ მოჰყავდა 4-5 მილიარდი ფუთი პური.

ჩვენმა სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ 1937 წელს მოგვცა უკვე 7 მილიარდი ფუთი პური. წლითი-წლობით იზრდება ჩვენში პირუტყვის სულადობა. იზრდება კოლმეურნეთა შეძლებულობა და კულტურულობა.

ყველა ეს მიღწევა ასახულ უნდა იქნას სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

შემდეგ ამხ. ხრუშჩოვი ჩერდება მთელ რიგ მსხვილ ნაკლოვანებებზე სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოსამზადებელ მუშაობაში და ის დასკვნა გამოჰყავს, რომ გამოფენა მზად არ არის 1938 წელს გასახსნელად.

— ჩვენ, უკრაინელი დეპუტატების ჯგუფს,—აცხადებს ამხ. ხრუშჩოვი,—გავეცანით რა ადგილობრივ გამოფენის გახსნისათვის მომზადებას, წინადადება შემოგვაქვს — სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა დაინიშნოს 1939 წლის 1 აგვისტოსათვის.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ წლის განმავლობაში კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მივაღწევთ ჩვენს სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში. ამ წარმატებებს ჩვენ მივაღწევთ იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა ახლა ისე მტკიცე გახდა, როგორც არასოდეს. ჩვენ დავამარცხეთ ხალხის მტრები—ტროცკისტები, ბუხარინელები და ბურჟუაზიული ნაციონალისტები. ჩვენი მრეწველობა, ტრანსპორტი და სოფლის მეურნეობა ძლევამოსილად მიდიან წინ. დღითი-დღე იზრდება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სიმდიდრე. ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე მოსვენებას არ აძლევს ფაშისტურ მტაცებლებს. შურის თვალით უყურებენ ისინი ჩვენს ქვეყანას.

— ამიტომ,—ამბობს ამხ. ხრუშჩოვი,—ჩვენ ფხიზლად უნდა ვადევნოთ თვალყური მტრებს, რათა ჩვენს სამშობლოზე თავდასხმის პირველი ცდისთანავე თავს დავატყდეთ მათ განმანადგურებელი ძალით.

ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის მიერ იაპონელთა სამხედრო ხროვისათვის შორეულ-აღმოსავლეთში მიცემული გაკვეთილი, მხედველობაში უნდა იქონიონ გერმანელ-პოლონელმა და სხვა ფაშისტმა ქოფაკებმა.

ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ პოლონელ-გერმანელ ფაშისტებს:

— ნუ ოცნებობთ უკრაინის მიწებზე, ნუ გრჩებათ თვალი უკრაინულ ქონზე, თუმცა იგი მართლაც გემრიელი და სურნელოვანია.

— ჩვენ ვეტყვით მათ ხალხურ ანდაზას: „თუმცა მაშო კარგია, მაგრამ თქვენ რას გარგიათ!" **(მქუხარე ტაში).** „შესახედად სამოა, მაგრამ ჩემთან ხომ არ მოვა!". **(ტაში).**

— გახსოვდეთ,—თუ უკრაინის ქონისათვის წამოხვალთ, — ჩვენ ტყვიითა და ყუმბარებით გაგიმასპინძლდებით.

ჩვენ ვატარებთ მშვიდობიანობის პოლიტიკას, რომელსაც იცნობენ და ხედავენ მთელს მსოფლიოში. მაგრამ ჩვენ არ გვეშინია მუქარის და მზად ვართ დარტყმით ვუპასუხოთ ომის გამჩაღებელთა დარტყმას.

ჩვენი დიადი საბჭოთა სოციალისტური სამშობლოს ხალხები მხნედ და მტკიცედ მიდიან ჩვენი საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ — კომუნიზმისაკენ **(ხანგრძლივი, მქუხარე ტაში).**

დეპუტატ ხრუშჩოვის მოხსენების გარშემო იწყება კამათი.

თავმჯდომარე ნ. მ. შვერნიკი სიტყვას აძლევს დეპუტატ **ლ. პ. ბერიას.**

— საკითხს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ, რომლის განხილვაც სესიაზე სწარმოებს,—ლაპარაკობს ამხ. ბერია,—დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. გამოფენამ ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის უდიდეს წარმატებათა დემონსტრაცია უნდა მოახდინოს.

ჩვენი პარტია, ლენინი და სტალინი ყოველთვის ყურადღების ცენტრში აყენებდნენ სოფლად პარტიის პოლიტიკის საკითხებს, გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის საკითხს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდნენ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას.

საქართველოც ისევე, როგორც მეფის რუსეთის მრავალი სხვა „განაპირა ქვეყანა", რომელიც ცარიზმისა და თავიანთი მემამულე-ფეოდალების ორმაგი ჩაგვრის უღელქვეშ იმყოფებოდა, საქართველო, წარსულში ღატაკი, დარბეული და უუფლებო,—ამჟამად, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის ერთერთ მოწინავე და გაფურჩქვნილ რესპუბლიკად გადაიქცა.

საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები განსაკუთრებით მრავალნაირია და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი მათი გამოყენება და წარმართვა მშრომელთათვის სამსახურის გასაწევად.

ძვირფასი სუბტროპიკული, სპეციალური და ტექნიკური კულტურები—ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, ყურძენი, კეთილშობილი დაფნა, ტუნგო, რამი და სხვა—მტკიცედ დამკვიდრდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში. საბჭოთა ხელისუფლებამდე საქართველოში იყო ჩაის სულ მხოლოდ რამდენიმე ასეული ჰექტარი, ამჟამად ჩაის პლანტაციების ფართობი 44 ათას ჰექტარამდე გაიზარდა. უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში ჩვენ ქართული ჩაით დავაკმაყოფილებთ საბჭოთა კავშირის მშრომელთა მთელს მოთხოვნილებას.

1937 წელს ჩვენ დავამზადეთ ციტრუსოვანი ნაყოფების 300 მილიონი ცალი, წინაამდეგ 11 მილიონი ცალისა 1932 წელს. 22 ათასი ჰექტარი თამბაქოს პლანტაციები საქართველოში მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირის თამბაქოს ფაბრიკებს მისცემს 16 ათას ტონაზე მეტ თამბაქოს.

ვაზის ფართობს ამჟამად უკავია დაახლოებით 45 ათასი ჰექტარი, ხოლო 1942 წლისათვის ეს ფართობი გაიზრდება კიდევ 20 ათას ჰექტარზე მეტით. მთელმა რიგმა სხვა ძვირფასმა კულტურებმა — ტუნგომ, რამმა, ევკალიპტმა, ეთეროვანმა მცენარეებმა და სხვ. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს იწყეს სამრეწველო მასშტაბით განვითარება.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობა საშუალებას მოგვცემს ჩვენ ვაჩვენოთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიღწევები, დაგვეხმარება მუშაობის გამოცდილების გაზიარებაში, ხელს შეუწყობს ბრძოლას საკოლმეურნეო წყობილებისა და სოციალისტური მეურნეობის ახალი აღმავლობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

შემდეგ დეპუტატი ბერია აღნიშნავს დიდ ორგანიზაციულ არევდარევას საგამოფენო კომიტეტის მუშაობაში, სსრ კავშირის მიწსახკომის მუშაობის ნაკლოვანებებს სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის მოწყობის საქმეში.

სავსებით სწორად მიმაჩნია, — ლაპარაკობს ამხ. ბერია,—ის წინადადება, რომელიც შემოიტანა დეპუტატმა ხრუშჩოვმა უკრაინის სსრ დეპუტატთა ჯგუფის სახელით, — სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის ვადის 1939 წლისათვის გადატანის შესახებ. ეს საშუალებას მოგვცემს როგორც ჩვენ, ისე სხვა რესპუბლიკებსაც, მხარეებსა და ოლქებსაც უკეთ მოვემზადოთ და გაცილებით უფრო სრულად წარმოვადგინოთ გამოფენაზე თავიანთი წარმატებანი სოფლის მეურნეობის დარგში.

წინადადებას სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის ვადის 1939 წლის 1 აგვისტოსათვის გადატანის შესახებ მხარს უჭერს დეპუტატი **დ. ფ. მარკინი.**

— გამოფენაზე მთელი სისრულით უნდა იქნას გამოხატული, — ამბობს იგი, — სოციალისტური მიწათმოქმედების წარმატებანი ორი სტალინური ხუთწლედის წლების განმავლობაში.

ამხ. მარკინს მოჰყავს ბელორუსიის კოლმეურნეობათა განსაკუთრებული მიღწევების ფაქტები. ბელორუსიის კოლმეურნეებმა ათასზე მეტი განცხადება შეიტანეს იმის შესახებ, რომ მათ სურთ მონაწილეობა მიიღონ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში. განსაკუთრებით თვალსაჩინოა პოლესიეს წარმატებანი. წარსულში ეს იყო მეფის რუსეთის ერთერთი ყველაზე ჩამორჩენილი კუთხე. გაუვალი ჭაობები რისხვას წარმოადგენდნენ გლეხობისათვის. საბჭოთა მთავრობის, კომუნისტური პარტიისა და პირადად ამხანაგ სტალინის მზრუნველობითა და მუდმივი დახმარებით ბელორუსიის პოლესიეს კოლმეურნეობები მაღალი მოსავლის მინდვრებად, მდიდარ მდელოებად და ნოყიერ საძოვრებად ხდიან ჭაობებს.

ბელორუსიის კოლმეურნეები არ ივიწყებენ ამავე დროს სსრ კავშირის საზღვრების დაცვის ამოცანას. ისინი მუდამ ეხმარებიან მესაზღვრეებსა და საბჭოთა სახელოვან დაზვერვას მათ მუშაობაში, იცავენ საბჭოთა მიწა-წყალს ჯაშუშებისა და დივერსანტების შემოპარვისაგან.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის უდიდეს მნიშვნელობას ხაზგასმით აღნიშნავს თავის სიტყვაში დეპუტატი **ს. კ. კოროტკოვი.** იგი ლაპარაკობს ჩუვაშეთის სოფელში მომხდარ რადიკალურ ცვლილებებზე.

კოლმეურნეობებმა აგროტექნიკისა და უახლესი მექანიზაციის გამოყენებით, უმაღლითო მოსავლის მიღება იწყეს. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ჩუვაშეთის ასსრ ბურნარის რაიონში 1937 წელს ერთ შრომადღეზე 13 კილო მარცვლეული გასცა. ასმა მეურნეობამ მიიღო პური 300-დან 400 ფუთამდე, ხოლო ასმა მეურნეობამ 400-დან 1.000 ფუთამდე. ჩუვაშეთის რესპუბლიკასა და მთელს ჩვენ ქვეყანაში ათასობით და ათი ათასობით საუცხოოდ მომუშავე კოლმეურნეობები მოიპოვება.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ უნდა ასახოს ჩვენი წარმატებანი სოფლის მეურნეობაში; მოწინავე კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების გამოცდილება მთელი ქვეყნის კუთვნილებად უნდა გახადოს. გამოფენა კიდევ უფრო მაღლა ასწევს სოციალისტური შეჯიბრების დროშას წელიწადში 7-8 მილიარდი ფუთი პურის მიღებისათვის ბრძოლაში.

გამოდის დეპუტატი **ტ. ა. იურკინი**—სსრ კავშირის მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარი. იგი ლაპარაკობს იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც უნდა ჩატარდეს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მომზადებისათვის.

მსურველთა დიდმა რაოდენობამ შეიტანა განცხადება სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის შესახებ. მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა 60 ათასზე მეტი აღმოჩნდა, მაგრამ, გამოფენის მთავარი კომიტეტი, მიწსახკომი და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატი სათავეში ვერ ჩაუდგნენ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას, ვერ აღმოუჩინეს საჭირო დახმარება კოლმეურნეობებს ამ საქმეში. ხალხის მტრები ცდილობდნენ ჩაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება—სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მასობრივი მონაწილეობა გამოფენაზე იმ საბაბით, რომ მიეზიდათ გამოფენაზე ის პირები, რომელთაც სარეკორდო მაჩვენებლები მოგვცეს. მრავალ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას, სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს, თავისი მიღწევების მიხედვით უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ გამოფენაში, მაგრამ მათი განცხადების გაფორმება გამოფენის კომიტეტისა და სამიწათმოქმედო ორგანოების მიზეზით არ ჩატარებულა. მეორე მხრით, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების მიხედვით მაჩვენებლების არასწორად დაწესების გამო, კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ნაწილს შეეძლო მონაწილეობა მიეღო გამოფენაში იმ დარგებით, რომლებსაც მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს წინადადებით ხდება გამოფენაში მონაწილეობის მისაღები მაჩვენებლების გადასინჯვა.

დეპუტატი **შ. კონუსპაევი** ლაპარაკობს იმ უდიდესი აღმავლობის შესახებ, რომელსაც ვხედავთ კოლმეურნეებსა, კოლმეურნე-ქალებსა, ტრაქტორისტებსა და კომბაინერებს შორის და რომელიც გამოიწვია სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადებამ. კაზახეთის რესპუბლიკის თვითეული კოლმეურნეობა ისწრაფვის გვიჩვენოს თავისი დიდი მიღწევები მოსავლისა და სოციალისტური მეცხოველეობის განვითარებისათვის ბრძოლაში.

კაზახეთის საკოლმეურნეო მინდვრებს ამუშავებს 370 სამანქანო-სატრაქტორო სადგური. მომთაბარე, უკულტურო ძველი აულის ნაცვლად რესპუბლიკაში შექმნილია უახლესი ტექნიკით შეიარაღებული 70 ათასი კოლმეურნეობა, რომელიც აშენებს თავისუფალ, ბედნიერ და სიხარულით აღსავსე ცხოვრებას. მათ შორის ათობით მილიონერი კოლმეურნეობებია.

ამხ. კონუსპაევი მხარს უჭერს უკრაინის დეპუტატების ჯგუფის წინადადებას 1939 წლისათვის გამოფენის გადატანის შესახებ.

მცირე შესვენების შემდეგ სხდომა განახლდა.

ლოჟებში გამოჩნდნენ ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, კალინინი, მიქოიანი, ჟდანოვი, ეჟოვი, ხრუშჩოვი, მალენკოვი და შკირიატოვი, რომელთაც მქუხარე, ხანგრძლივი ტაშითა და ოვაციებით ხვდებიან.

ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის შეძახილები ამხანაგ სტალინის პატივსაცემად: „ვაშა ამხანაგ სტალინს!", „ვაშა დიდ სტალინს!".

გრძელდება კამათი დეპუტატ **ნ. ს. ხრუშჩოვის** მოხსენების გამო. გამოდის სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **ბენედიქტოვი.** იგი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირმა მსოფლიოში მტკიცედ დაიკავა პირველი ადგილი ხორბლისა, ჭვავისა, შვრიისა, ქერისა, სელისა, შაქრის ჭარხლისა და კარტოფილის მოყვანის მხრივ. კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მატებამ 1937 წლის განმავლობაში 25 პროცენტი შეადგინა 1936 წელთან შედარებით.

— პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებამ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობის შესახებ, — ამბობს ამხ. ბენედიქტოვი,—მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა კოლმეურნეებსა, კოლმეურნე-ქალებსა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშათა და მუშა-ქალთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს შორის. რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში საგამოფენო კომიტეტებში შეტანილია 60 ათასი განცხადება გამოფენაში მონაწილეობის მიღების სურვილის შესახებ, მაგრამ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადება არადამაკმაყოფილებლად ტარდებოდა მთავარი საგამოფენო კომიტეტისა და საკავშირო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ.

საგამოფენო კომიტეტში მთელი რიგი რესპუბლიკებისა, მხარეებისა და ოლქების მიერ წარმოდგენილი მასალები არ ასახავენ ჩვენი სოფლის მეურნეობის ნამდვილ მიღწევებს.

საგამოფენო კომიტეტისა და საკავშირო მიწსახკომის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისა და გამოფენაზე არსებული მავნებლობის შედეგად, გამოფენის მშენებლობა ისე ჩატარდა, რომ მოფიქრებული გენერალური გეგმა არ შეუდგენიათ.

ტრიბუნაზე არის დეპუტატი **ნ. ვ. ციცინი.** იგი ლაპარაკობს იმ უდიდესი გზის შესახებ, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გაიარა 1923 წლის პირველი სასოფლო-სამეურნეო გამოფენიდან მოკიდებული.

ამ პირველმა გამოფენამ გლეხებს ჯერ კიდევ მაშინ დაანახვა დამაჯერებელი სიცხადით ერთად ერთი სწორი გზა, დასახული ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მიერ, გლეხური წვრილი დაქუცმაცებული მეურნეობების საწარმოო კოოპერირების საშუალებით სიღატაკისა და კულაკური მონობისათვის თავის დაღწევის გზა.

სულ რამდენიმე წლის წინათ განა აზრად რომელიმე ჩვენთაგანს მოუვიდოდა, რომ ერთი ადამიანი ერთ დღეში შესძლებს იმდენი პური აიღოს მინდორში, რამდენსაც წინათ 100 კაცი იღებდა. ახლა ჩვენს ქვეყანაში კომბაინების ჩინებული ოსტატები უკვე ერთეულობით კი არა, ასობითა და ათასობით მოიპოვებიან.

— 300-400 ცენტნერი ჭარხლის მოსავალი ზღვრულად და მიუღწეველადაც კი ითვლებოდა მეცნიერებაში. წარჩინებულმა სტახანოველმა აგრაფენა პროკოფის-ასულმა მედვედევამ კი ტულის ოლქში 1000 ცენტნერი ჭარხალი აიღო ჰექტარზე.

ამხ. ციცინი აღნიშნავს გამოფენის მომზადებაში არსებულ უდიდეს ნაკლოვანებებს. კანდიდატების არჩევისადმი უსულგულო მიდგომამ გამოიწვია ის, რომ უკრაინა, მაგალითად, წარმოდგენილ იქნა გამოფენაზე როგორც წამყვანი რესპუბლიკა მებამბეობის ხაზით, ჩუვაშეთი—მარცვლეულობის ხაზით და ასე სხვ.

ათავებს რა თავის გამოსვლას, ამხ. ციცინი ლაპარაკობს:

— 1939 წლის გამოფენა ნამდვილ სოციალისტურ სკოლად უნდა გადაიქცეს მილიონობით კოლმეურნეებისათვის, სამეცნიერო მუშაკებისათვის, აგრონომებისათვის, სოფლის მეურნეობის ინჟინრებისათვის, ყველა ადამიანებისათვის, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობასთან, რადგან გამოფენაზე ნაჩვენები იქნება, თუ რა შეუძლია თავისუფალი საბჭოთა ქვეყნის მეცნიერებისა და პრაქტიკის ადამიანთა აზრს.

დეპუტატ ციცინის სიტყვის შემდეგ კამათი სწყდება და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ისმენს მომხსენებლის—დეპუტატ ნ. ს. ხრუშჩოვის საბოლოო სიტყვას.

პალატების მიხედვით ცალცალკე კენჭისყრით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს „კანონს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო გადადის დღისწესრიგის მერვე უკანასკნელი პუნქტის განხილვაზე.

სიტყვას იღებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი, დეპუტატი **ა. ფ. გორკინი.**

ამხ. გორკინი მოახსენებს სესიას იმის შესახებ, თუ რა ბრძანებულებები იყო მიღებული უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ პირველი და მეორე სესიების შორის გასულ პერიოდში, რომლებიც დამტკიცებულ უნდა იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ. იგი ასახელებს ბრძანებულებებს:

ამნისტიის შესახებ მუშურ-გლეხური წითელი არმიის 20 წლისთავის აღსანიშნავად;

სსრ კავშირის სახალხო კომისართა თანამდებობიდან ა. ვ. ბაკულინის, ნ. ი. პახომოვის, მ. ვ. პოპოვის, ა. დ. ბრუსკინის, ა. ლ. გილინსკის განთავისუფლების შესახებ;

ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის გზათა სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მუშაობის შეთავსებით; ამხ. ნ. ი. ეჟოვის წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მუშაობის შეთავსებით; ამხ. ს. ე. სკრინიკოვის დამზადებათა სახალხო კომისრად, ამხ. ვ. კ. ლვოვის მანქანათმშენებლობის სახალხო კომისრად, ამხ. ი. გ. კაბანოვის კვების მრეწველობის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ;

ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრად და გზათა სახალხო კომისრად მისი დატოვებით;

რსფსრ შემადგენლობაში მურმანის ოლქის და უკრაინის სსრ შემადგენლობაში სტალინისა და ვოროშილოვგრადის ოლქების შექმნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს ამ ბრძანებულებებს. ამას გარდა, პალატების მიხედვით ცალცალკე კენჭისყრით ერთხმად მიღებულია დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 22 და 23 მუხლების შეცვლისა და დამატების შესახებ.

თავმჯდომარე—ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი** იუწყება, რომ მეორე სესიის დღისწესრიგი ამოწურულია და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიას დახურულად აცხადებს. (საკდესი).

1938 წლის მოსავლის თამბაქოს საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ-გლეხური ვაჭრობის აკრძალვის შესახებ

დადგენილება

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

1938 წლის 20 აგვისტო

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ-გლეხური ვაჭრობა როგორც დაფხვნილი, ისე ფოთლოვანი თამბაქოსი საქართველოს სს რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე მანამდე, ვიდრე შესრულებული არ იქნება 1938 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების რესპუბლიკური გეგმა და გამოცემული არ იქნება საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილება კოლმეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეებისთვის თამბაქოს ვაჭრობის ნებართვის შესახებ.

2. ამ დადგენილებით გაუქმდეს საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 20 მაისის დადგენილება № 660.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. სტურუა

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი მ. ნანეიშვილი

თბილისი

„კომუნისტის" რედაქციას

ლენინგრადი, 22 აგვისტო **(ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან ყინულმჭრელ „ი. სტალინზე").** გადავეცი თქვენი მისალმება ყინულმჭრელ „ი. სტალინის" კომანდას. მთელი კომანდა კაპიტან **ვორონინის** მეთაურობით გიგზავნით გაზეთ „კომუნისტის" მუშაკებს მადლობას ყურადღებისათვის. გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გადასცეთ ქართველ ხალხს, რომელმაც მისცა მთელი მსოფლიოს მშრომელთ საყვარელი ბელადი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი, რომ ჩვენ გავამართლებთ პარტიისა და მთავრობის ნდობას და სასახელოდ შევასრულებთ ჩვენზე დაკისრებულ დავალებას.

კომანდა იმყოფება რა მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ყინულმჭრელის ბორტზე, რომელიც ატარებს ჩვენი ეპოქის საუკეთესო ადამიანის, მშობლიური მამისა და მეგობრის ამხანაგ სტალინის სახელს, მზად არის შეასრულოს ყოველი დავალება, რომელსაც ჩვენ მოგვანდობენ.

დაე იცოდნენ კაცობრიობის ბედნიერების ყველა მტრებმა, რომ თუ ისინი განიზრახავენ ჩვენს წმინდათაწმინდა მიწა-წყალზე შემოჭრას, მაშინ არქტიკული ფლოტის სიამაყე ყინულმჭრელი „ი. სტალინი", შესცვლის თავის კურსს და ყინულების ნაცვლად გასრესს ამ საზიზღარ ქვეწარმავალთ მათსავე ზღვებში.

ქვეყანა, რომელიც ძლიერია ჰაერში, ხმელეთზე და ზღვაში, უძლეველია.

რამდენიმე წუთი-ღა დარჩა. ყინულმჭრელი ლენინის ქალაქის საზღვაო ვაგზალზე იღებს უკანასკნელ ტვირთს. თავი მოიყარეს არქტიკულ რეისში მიმავალთა ნათესავებმა და მეგობრებმა. კომანდის განწყობილება მხნეა. წითელი ალამის ამაყად მაღლა ფრიალით ყინულმჭრელი გაეშურება თავის პირველ პასუხსაგებ რეისში.

კომანდის დავალებით—ყინულმჭრელ „ი. სტალინის" ექიმი

გ. თვალაძე

ჩაის ფოთლის დამზადება

„საქჩაის" 20 აგვისტოს ცნობებით

რაიონები	ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა (ტონობით)	ჩაის ფოთლის დამზადების აგვისტოს გეგმა (ტონობით)	დამზადებულია ფაქტიურად წლის დასაწყისიდან (ტონობით)	დამზადებულია ფაქტიურად აგვისტოში (ტონობით)	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	აგვისტოს გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმი	1360	349,2	1056,7	233,7	77,7	66,9
ქობულეთი	6680	2063,5	4765,4	1061,4	71,3	51,4
სულ აჭარის ასსრ	**8040**	**2412,7**	**5822,1**	**1295,1**	**72,4**	**53,7**
გალი	2290	555	1653,8	263,2	72,2	47,4
ოჩამჩირე	1170	282,8	849,1	118,6	72,6	41,9
სულ აფხაზეთის ასსრ	**3460**	**837,8**	**2502,9**	**381,8**	**72,3**	**45,6**
მახარაძე	8555	2517,6	5955,7	1192,3	69.6	47.4
ჩოხატაური	1050	275,7	718,6	101,8	68,4	36,9
ლანჩხუთი	3200	1046,4	2036,6	363	63.6	34.7
სამტრედია	200	53	128,8	17,8	64,4	33,6
წულუკიძე	725	181,5	525,1	94,7	72,4	52,2
ქუთაისი	180	59,9	109,7	20,9	60,9	34,9
ტყიბული	375	125,4	235,4	45,8	62,8	36,5
ცხაკაია	900	281,4	548,2	73,6	60,9	26,2
გეგეჭკორი	1929	477,7	1370,2	211,2	71	44,2
ზუგდიდი	3934	1230,1	2461,4	352,5	62,6	28,7
წალენჯიხა	1208	318,7	836,8	133,5	69,3	41,9
ჩხოროწყუ	964	247,3	674,5	107,8	70	43.6
ხობი	280	67,2	213,4	26	76,2	38,7
სულ	**35000**	**10132,4**	**24139,4**	**4417,8**	**69**	**43.6**

○

აგვისტოს პირველ ხუთდღიურში დამზადდა 639,8 ტონა ჩაის ფოთოლი,—მეორეში—1164,7, მესამეში—1327,8 და მეოთხეში—1285,5 ტონა.

ქვანახშირის გამოღება. 20/VIII

(ტონობით)

	გეგმა	გამოღება	შესრ. პროც.
ტყიბული	845	864	102,1
ტყვარჩელი	667	494	74

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

გადმოვიღოთ ლენინგრადის მოწინავე პარტორგანიზაციათა დადებითი გამოცდილება

ქ. ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციებში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმზე დიდი სტალინის მიერ მოცემულ მითითებათა შესრულებისათვის, ლენინ-სტალინის პარტიის საქმის ერთგული ახალგაზრდა კადრების გაბედულად დაწინაურებისათვის.

ქ. ლენინგრადის პარტორგანიზაციამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა დახმარება და ხელმძღვანელობა პარტკომების მდივანთა მოადგილეებისადმი და ბევრი მათგანი კიდეც დააწინაურა პასუხსაგებ ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე. ლენინის რაიონში 134 პარტიული ორგანიზაციაა, აქედან 85 ორგანიზაციაში პარტკომებია. ყოველ პარტორგანიზაციას ჰყავს პარტკომის მდივნის ორი მოადგილე. მათი მნიშვნელოვანი უმრავლესობა პირველად მოვიდა პარტიულ სამუშაოზე. ესენი არიან ფაბრიკა-ქარხნების საუკეთესო სტახანოველები, ინჟინრები და ტექნიკოსები.

რაიკომი სისტემატურად ეხმარება ახალ კადრებს, რათა ისინი დაეუფლონ ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ხელოვნებას, რათა მათგან მომზადდეს დამოუკიდებელი პარტიული მუშაკები.

პარტკომების მდივანთა მოადგილეები სწავლობენ პარტაქტივის რაიონულ სახლში, პარტკომების მდივანთა კურსებზე. ბევრი მათგანი პარტისტორიის წრის პროპაგანდისტადაც მუშაობს. გარდა ამისა, ისინი ეწევიან დიდ პარტიულ, ორგანიზაციულ მუშაობას: ამზადებენ საერთო პარტიულ კრებებს, ამოწმებენ საამქროების პარტორგანიზატორთა მუშაობას და ხელმძღვანელობენ პარტიული მუშაობის სხვადასხვა უბნებს.

აი პარტკომების მდივანთა მოადგილეების თვალსაჩინო ზრდის რამდენიმე მაგალითი. ს. მ. კიროვის სახელობის ამწევ მოწყობილობათა ქარხანაში 1937 წლის შემოდგომაზე პირველად მოვიდა პარტიულ ხელმძღვანელად ამხ. სოროჩინი. ის არჩეულ იქნა პარტკომის მდივნის მოადგილედ. ამხ. სოროჩინი 1932 წლიდან მუშაობს ამ ქარხანაში. მან დაამთავრა პარტაქტივის რაიონულ სახლთან არსებული პროპაგანდისტთა კურსები, ხელმძღვანელობდა პოლიტცოდნის სკოლას და ამავე დროს სწავლობდა პარტკომების მდივნების კურსებზე.

როგორც პარტკომის მდივნის მოადგილეს, მას დავალებული ჰქონდა სსრ კავშირის და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნების დროს მოეწყო მასობრივ-პოლიტიკური აგიტაცია საარჩევნო უბნებში. ამ დავალების შესრულებაში ამხ. სოროჩინმა კარგი ორგანიზატორული, აგიტატორული და პროპაგანდისტული უნარი გამოიჩინა. ის თვითონ ხელმძღვანელობდა რუსეთის სფსრ კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის შემსწავლელ წრეებს ქარხანაში.

როგორც პარტკომის მდივნის მოადგილემ ამხ. სოროჩინმა დაამყარა ბოლშევიკური წესრიგი პარტიულ მეურნეობაში: ამზადებდა მასალებს პარტკომის სხდომებისათვის და ეწეოდა დიდ პრაქტიკულ მუშაობას ქარხანაში. 1938 წლის საგაზაფხულო თესვის პერიოდში ამხ. სოროჩინი მივლინებული იყო ოლქში—სელისა და კანაფის კონტრაქტაციის შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების განმარტებისათვის.

თავის პრაქტიკულ მუშაობასა და სწავლაში ამხ. სოროჩინი გაიზარდა, როგორც კარგი პარტიული ორგანიზატორი და ივნისში იმასთან დაკავშირებით რომ პარტკომის მდივანი ქარხნის დირექტორად დააწინაურეს, ის არჩეულ იქნა ქარხნის პარტკომის მდივნად.

მეორე მაგალითი: ფაბრიკა „სოვეტსკაია ზვეზდაში" ახალგაზრდა მქსოველი ქალი ამხ. ცარევა ასევე პირველად მოვიდა პარტიულ სამუშაოზე—პარტკომის მდივნის მოადგილედ.

მან საუკეთესოდ მოაწყო ადამიანებისადმი ინდივიდუალური მიდგომა, პარტიული და არაპარტიული აქტივის აღზრდა. ასეთი მუშაობით ამხ. ცარევამ სულ მოკლე დროში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა ფაბრიკაში, როგორც პარტიულმა ხელმძღვანელმა.

ის საუკეთესოდ ასრულებდა რაიკომის სერიოზულ პარტიულ დავალებებსაც, კერძოდ, პარტმუშაობის ცალკეულ საკითხებს რაიონის საფეიქრო საწარმოებში. ამჟამად ამხ. ცარევა დაწინაურებულია რაიკომის ინსტრუქტორად.

მესამე მაგალითი — ამხ. პოლესჩუკი 1928 წელს მოვიდა ქარხანა „კრასნაია ვაგრანკაში" შავ მუშად. 1932 წელს ის შევიდა პარტიაში და 1937 წელს არჩეულ იქნა პარტკომის შემადგენლობაში და პარტკომის მდივნის მოადგილედ. როგორც პარტკომის მდივნის მოადგილე, ის სწავლობდა პარტაქტივის რაიონულ სახლში და პარტკომის მდივნების კურსებზე.

1938 წლის მაისში ამხ. პოლესჩუკი, როგორც საუკეთესო პარტიული მუშაკი, დაწინაურებულ იქნა ამავე ქარხნის პარტკომის მდივნად.

საქართველოს პარტორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გამოიტანონ და დანერგონ თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში ლენინგრადის პარტორგანიზაციების დადებითი გამოცდილება პარტკომების მდივანთა მოადგილეებისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნის მიზნით.

კანდიდატებთან სუსტად მუშაობენ

(ონის რაიონი)

ონის რაიონის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და პარტიის რაიკომმა ჯერ კიდევ ვერ გარდაჰქმნეს პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობა. სუსტად სწარმოებს პარტკანდიდატების გადარიცხვა პარტიის წევრებად. რაიონში ბევრია დიდსტაჟიანი კანდიდატები. მაგალითად, 117 პარტკანდიდატიდან 5 მიღებულია 1929 წლამდე, 16—1930 წლამდე, 60—1931 წლამდე და 20—1936 წლამდე. ეს ციფრები მოწმობენ, რომ პარტორგანიზაციები და პარტრაიკომი სათანადო მუშაობას არ აწარმოებენ კანდიდატებს შორის.

ამხანაგი ლ. ბერია საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე ამბობდა: „საქმე ის არის, რომ პარტიის წევრობის მრავალი კანდიდატი თვითონვე საკმაოდ მსუბუქად ეპყრობა პარტიის წევრად თავისი გადაყვანის საკითხს, ვერ ხედავს რა, როგორც სჩანს, განსხვავებას პარტიის წევრსა და პარტიის წევრობის კანდიდატს შორის. ეს კი იმას გვიჩვენებს, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები და პარტიის რაიკომები სუსტად ეწეოდნენ და ეწევიან სათანადო მუშაობას კანდიდატებთან".

ეს სრული უფლებით ითქმის ონის რაიონის პირველადს პარტორგანიზაციებზე, პარტრაიკომისა და პარტიის წევრობის კანდიდატებზე. კოოპერაციასთან არსებულმა პირველადმა პარტორგანიზაციამ, რომელშიაც 7-დან 9 წლამდე საკანდიდატო სტაჟით 3 კანდიდატი ირიცხება, დღემდე შესძლო მხოლოდ 1 კაცი გადაერიცხა პარტიის წევრად. სოფელ გლოლის ტერიტორიულ პარტორგანიზაციაში ორი პარტკანდიდატი, 7 და 8 წლის საკანდიდატო სტაჟით, დღემდე გადარიცხული არ არის პარტიის წევრებად.

პარტრაიკომის ზოგიერთი ინსტრუქტორი ცუდად ხელმძღვანელობს პარტკანდიდატებთან მუშაობას, საკმარისად ვერ უწყობს ხელს პარტიის რიგების ზრდას. მაგალითად, ინსტრუქტორი ამხ. გავაშელი ოთხი თვეა „აფორმებს" პარტიაში მისაღებ ამხ. დ. ჭიჭინაძის დოკუმენტებს, მაგრამ ეს საქმე დღემდე ვერ დაამთავრა. ინსტრუქტორმა ამხ. შ. გოგობერიშვილმა პარტიაში მისაღებ ამხ. ლ. თოდაძეს დაუკარგა დოკუმენტები, რეკომენდატორი გ. კერვალიშვილი სამჯერ არ გამოცხადდა კრებაზე, რის გამოც სამჯერვე გადაიდო ამხ. გ. ყველაშვილის პარტიაში მიღების საკითხი. პარტრაიკომში ინახება ინსტრუქტორ მაისურაძის 25 ივლისის ინფორმაცია პარტკანდიდატებთან მუშაობის შესახებ. ეს ინფორმაცია გამოხატავს ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას პარტკანდიდატებთან მუშაობის საკითხისადმი. აქ პარტკანდიდატების სიას ცალ-ცალკე მიწერილი აქვს სავსებით ერთიდაიგივე შინაარსის შემდეგი წინადადებები: „პარტდავალება არა აქვს, იბრძვის თავის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის". ნამდვილად კი პარტრაიკომის მდივნის ამხ. ვ. ჯაფარიძის განცხადებით აღნიშნული კანდიდატები არ მუშაობენ თავის თავზე, არ ეწევიან აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას.

რაიონში სუსტად მიმდინარეობს პარტიის რიგების ზრდა. მიმდინარე წელს პარტკანდიდატებად მიღებულია მხოლოდ 12 კაცი. სუსტად არის დაყენებული პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა. კანდიდატებს პარტდავალება არა აქვთ მიცემული. ისინი ვერ სწავლობენ პარტიის წესდებას და პროგრამას, არავინ აწარმოებს მათი მუშაობის აღრიცხვას და სხვ. სრულებით არ არის გამოყენებული პარტკაბინეტი პარტკანდიდატებთან პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის წარმოებისათვის. პარტკაბინეტი საერთოდ უმსგავსოდ მუშაობს. მას აუცილებელი ლიტერატურაც კი არ მოეპოვება. მაგალითად, სრულებით არ არის ემ. იაროსლავსკის პარტიის ისტორიის სახელმძღვანელო და კრებული „ჩვენი სამშობლო". პარტკაბინეტს არა აქვს ლენინის თხზულებათა სრული კრებული. არ არის მოწყობილი სამკითხველო ოთახი. ამიტომ არის, რომ შეკითხვაზე: სწარმოებს, თუ არა მკითხველთა აღრიცხვა. პარტკაბინეტის გამგე ამხ. ბენდიანიშვილი უპასუხებს, — ვის აღვრიცხოთ, როცა არავინ დადის პარტკაბინეტშიო. პარტკაბინეტს არა აქვს მუშაობის გეგმა. ამხ. ბენდიანიშვილმა, რომელიც ორი თვეა დააწინაურეს კაბინეტის გამგედ, არ იცის რა გააკეთოს, როგორ იმუშაოს. პარტკაბინეტს პარტრაიკომიც არ აქცევს ყურადღებას.

საქ. კ. პ. (ბ) ონის რაიკომმა და პირველადმა პარტორგანიზაციებმა საფუძვლიანად უნდა გარდაჰქმნან პარტკანდიდატებთან მუშაობა, რადგან „პარტიაში მიღების საქმე მეტად სერიოზული და მნიშვნელოვანი საქმეა. საჭიროა უაღრესად გულდასმით მოვაწყოთ იგი" (ლ. ბერია).

ვ. მამალაძე.

მ. ს. შჩეპკინი



დღეს სრულდება 75 წელი მიხეილ სიმონის-ძე შჩეპკინის გარდაცვალებიდან.

ვინც რუსული თეატრის წარსულს იცნობს, მან იცის, თუ რა ადგილი უჭირავს მის განვითარებაში ამ შესანიშნავ მსახიობს, რომელიც 57 წლის განმავლობაში დაუღალავად ემსახურებოდა მშობლიურ სცენას.

. . თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის დუხჭირ პირობებს გლეხი ახალგაზრდობის არაერთი და ორი ნიჭისათვის მოუსწრაფებია დღე, მიუხედავად ამისა, დიდმა რუსის ხალხმა თავისი „მდაბიო" ფენებიდან წარმოშვა მთელი რიგი მოღვაწეები, რომელნიც სამართლიანად ითვლებიან რუსეთის მეცნიერების, ხელოვნების და საერთოდ კულტურის გიგანტებად.

მ. ს. შჩეპკინი რუსეთის გენიოსთა სწორედ ამ კატეგორიას ეკუთვნის. თავისი სიცოცხლის ნახევარი მან ყმობაში გაატარა 20 წლის განმავლობაში ყმა-აქტიორი დადიოდა რუსეთის ერთი ქალაქიდან მეორეში. ხელოვნების სიყვარული ათმენინებდა მრავალ დამცირებას, შიმშილს, მაგრამ ამას ერთხელაც არ გაუტეხია მისი მტკიცე ნება და სურვილი მტლად დასდებოდა ახალი თეატრის შექმნას.

ჯერ კიდევ 7 წლის იყო შჩეპკინი, როცა თავისი ბატონის სახლში ნახა პირველი წარმოდგენა. იმ დღიდან ყმას აღეძრა სურვილი გამხდარიყო მსახიობი. 17 წლის შჩეპკინი მონაწილეობს იღებს სერიოზულ წარმოდგენებში, რომლებსაც ბარსოვის მიერ ყმაგლეხებისაგან შედგენილი დასი მართავდა. 1823 წელს, მას შემდეგ, რაც შჩეპკინი ბატონისაგან გამოისყიდეს საზოგადოებაში შეგროვილი სახსრებით, იგი მიღებულ იქნა მოსკოვის დრამატიულ დასში. აქ მან მალე მოიხვეჭა პოპულარობა. 1825 წელს შჩეპკინი დებიუტით გამოდის ძველ პეტერბურგში, სადაც სხვათაშორის იპყრობს ა. ს. პუშკინის ცხოველ ყურადღებას. გენიალური რუსი პოეტი დაუახლოვდა შჩეპკინს და მისდამი ღრმა პატივისცემით განიმსჭვალა. მან ურჩია შესანიშნავ აქტიორს ეწარმოებინა შთაბეჭდილებათა ჩაწერა, რომელთა გადმოცემაში შჩეპკინი შეუდარებელი იყო. მართლაც, პუშკინის რჩევით მან დაიწყო დღიურების შედგენა, რაც შემდეგ ცალკე წიგნად გამოვიდა „ყმა აქტიორის შენიშვნების" სახელწოდებით. ხანა 1825-1855 წლებს შორის ითვლება შჩეპკინის თეატრალური მოღვაწეობის უბრწყინვალეს ხანად.

მარტო ამით როდი დაიმსახურა შჩეპკინმა მშობელი ხალხის სიყვარული. დიდ აქტიორთან ერთად ის იყო რუსული თეატრის დიდი რეფორმატორიც. რომ შევაფასოთ მისი ეს როლი რუსულ ხელოვნებაში, საჭიროა ვიცოდეთ, რას წარმოადგენდა მაშინ რუსული სცენა, ჰქონდა თუ არა მას საკუთარი შემოქმედებითი სტილი.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის 20-იან წლებამდე ახალგაზრდა რუსული სცენა უშუალო ფრანგული კლასიკური თეატრის გავლენას განიცდიდა. რუსული თეატრი კვალდაკვალ მისჩანჩალებდა ფრანგულ კლასიკურ თეატრს. იღებდა რა მის ყველაზე მახინჯ კონსერვატიულ-არისტოკრატიულ ტრადიციებს იგი უფრო სანახაობისა და თამაშის თეატრი იყო, ვიდრე ღრმა ფსიქოლოგიური განცდების თეატრი. გაბახებული დიქცია, უტრირებული მიმიკა, საკმაოდ გაცვეთილი პათეტიკურობა — აი რა ახასიათებდა მაშინდელ რუსულ თეატრს. ასეთ თეატრში დეკლამაცია ბატონობდა მოქმედებაზე. მართალია, ამ თეატრის წიაღში საფრანგეთში აღმოცენდა სცენიური ოპოზიცია, რომელიც „ბუნებრივობასა" და სიმართლეს მოითხოვდა სცენისაგან (დიდრო), მაგრამ მას რუსეთში არავითარი გამოძახილი არ ჰქონია. საფრანგეთის რევოლუციამ დააჩქარა ცრუკლასიკური თეატრის სისტემის შეცვლა ახალი რეალისტური სისტემით, წარმოდგენის თეატრს დაუპირისპირდა განცდების თეატრი, მაგრამ ამ ძვრას რუსეთის თეატრალურ ცხოვრებაში არავინ გამოხმაურებია.

[illegible]ლოდ მივიდა იმდროინდელი რუსული თეატრის სტილის უარყოფამდე.

შჩეპკინი მოითხოვდა აქტიორისაგან გულწრფელობას და სიმართლის გამოტანას სცენაზე. იმისათვის რომ მსახიობმა სცენაზე ითამაშოს და ზედმიწევნით განასახიეროს როლი, საჭიროა უშუალოდ განიცადოს ყველა ის ფსიქოლოგიური ნიუანსი, რასაც პიესის ესა თუ ის გმირი განიცდის. ევროპის თეატრებში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა ვერ დააკმაყოფილა შჩეპკინი. ის მაგალითად, ასეთ შენიშვნებს აკეთებს: „საცა გრძნობა და განცდა უნდა ლაპარაკობდეს, მე იქ ყველგან დეკლამაცია შემოდა, ერთი და იგივე გაზეპირებული ტონი ზოგს სასიამოვნო და ძლიერი ჰქონდა, ზოგს კი არასასიამოვნო და სუსტიო" და შემდეგ ნაღვლიანად დასძენს, — „მთელს ევროპაში მაყურებლები ჯერ კიდევ კმაყოფილდებიან ამგვარი დეკლამაციით ე. ი. ყმუილითო".

მართლაც შჩეპკინის გენიამ წინ გაუსწრო ეპოქას, ის, რაც მიუღწეველი იყო ბევრი სახელგანთქმული ევროპელი მსახიობისათვის, ე. ი. ცხოვრების სიმართლის გამოტანა სცენაზე, შჩეპკინმა განახორციელა თავის შემოქმედებაში. განიცდიდა რა უშუალოდ თავის როლს, იგი მუდამ ამჟღავნებდა იშვიათ სიყვარულს სცენიური რეალიზმისადმი. ამიტომ მის თამაშში სიყალბის ჩრდილსაც ვერავინ პოულობდა. გულწრფელობით, სიმართლით, უბრალოებით გამსჭვალული სპექტაკლი მაყურებელზე ჯადოსნურად მოქმედებდა. რუსეთის საუკეთესო თეატრალი და კრიტიკოსი — ბ. ბელინსკი შჩეპკინის ნიჭის თაყვანისმცემელი იყო.

— „შჩეპკინი მხატვარია, — სწერდა ბელინსკი, — მისთვის როლის შესწავლა არ ნიშნავს მხოლოდ ერთხელ მომზადებას და შემდეგ მის განმეორებას: მისთვის ყოველი ახალი წარმოდგენა როლის ახალი შესწავლაა". ყველაზე რთული ხასიათების გადმოცემაში შჩეპკინს თავისი ბუნებრივობით და მალდაუტანლობით განცვიფრებაში მოჰყავდა თანამედროვენი. გოგოლი, ბელინსკი, გერცენი, გრანოვსკი ამაყობდნენ მასთან მეგობრობით. მიუხედავად ამ მეგობრობისა, შჩეპკინის პოლიტიკური ჰორიზონტი მაინც შეზღუდული იყო.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოლიერისა და შექსპირის ტიპებს მაშინდელი მოწინავე ქვეყნების თეატრებში ისე ვერავინ ასახიერებდა, როგორც შჩეპკინი.

შჩეპკინის თეატრალური მოღვაწეობა დაერთო იმ ხანას, როცა რუსეთში შეუდარებელი სისწრაფით აღორძინდა მწერლობა. ბუნებრივია, რომ მან განსაკუთრებული სიყვარულით და სიფაქიზით განასახიერა თავისი სამშობლო ქვეყნის ტიპები. შჩეპკინის ფამუსოვი და სკვოზნიკ-დმუხანოვსკი მისი შემოქმედების ნამდვილ გვირგვინს წარმოადგენენ. თანამედროვეთა მოწმობით მაყურებელს ეგონა, რომ გრიბოედოვსა და გოგოლს თავისი ტიპები გადმოხატული ჰქონდათ შჩეპკინის თამაშიდან.

შჩეპკინი ენერგიულად მუშაობდა თავის ნიჭზე.—ღრმა მოხუცებულობაშიაც კი დაუღალავად სწავლობდა როლებს, ხსნიდა გმირების ხასიათს.

შჩეპკინი მსახიობისაგან როლის ასეთსავე სწავლას მოითხოვდა. ცნობილია, როგორ აფასებდა ის საფრანგეთის გამოჩენილ მსახიობ-ქალს რაშელს, შჩეპკინი უწოდებდა მას „ხელოვნების შესწავლის ტალანტს". „მან, — სწერდა შჩეპკინი თავის შენიშვნებში, — ნათლად გვიჩვენა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მსახიობისათვის სწავლას... აქტიორი აუცილებლად უნდა სწავლობდეს, სწავლობდეს იმას, თუ როგორ გამოსთქვას სიტყვა".

გენიალურ რუს მსახიობსა და მხატვარს ბლომად ჰყავდა მიმდევრები მშობლიურ სცენაზე. სცენიურ-რეალიზმს, რომელსაც მან საფუძველი ჩაუყარა ბევრი თაყვანისმცემელი აღმოაჩნდა რუსეთის ხელოვნებაში. მოჩალოვი, სტანისლავსკი და სხვ. მისი გენიალური მიმდევრები არიან. მის სცენიურ მემკვიდრეობაზე შეიქმნა მოსკოვის სამხატვრო თეატრი, გამოიზარდა მრავალი არტისტული ძალა. მის სახელს სიყვარულით იგონებს სოციალისტური ქვეყნის განახლებული თეატრი.

ბ. ა.

საქ. ალკკ წითელწყაროს პირველი რაიონული კონფერენცია

(ტელეგრაფით საქ. კორესპონდენტისაგან)

წითელწყაროს კლუბში შესდგა კომკავშირის წითელწყაროს პირველი რაიონული კონფერენცია. კონფერენცია გახსნა საქ. ალკკ ც. კ-ის ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგემ ამხ. გ. შავდიამ. ხელმძღვანელი ორგანოების არჩევის შემდეგ მოხსენებით საქ. ალკკ წითელწყაროს რაიონის კომკავშირული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ გამოვიდა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. შ. ჭანუყვაძე. მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 14 დელეგატმა. კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანი ამხ. კ. ბერიშვილი. მოხსენებისა და კამათის შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო ღონისძიებანი.

კონფერენციამ ფარული კენჭისყრით აირჩია კომკავშირის რაიკომის პლენუმი 25 წევრისა და 5 კანდიდატის შემადგენლობით, ხოლო სარევიზიო კომისია 5 კაცის შემადგენლობით.

ამავე დღეს შესდგა საქ. ალკკ წითელწყაროს რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა აირჩია რაიკომის ბიურო ხუთი კაცის შემადგენლობით. რაიკომის მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. დ. ჯანიკაშვილი.

*

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პროპაგანდისტი ამხ. რ. პ. საველიევა შესვენების დროს ფაბრიკის მუშებს უკითხავს მასალებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-2 სესიის მუშაობაზე.

ფოტო კვირიკაშვილისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ბოლშევიკური არალეგალური მუშაობის შესანიშნავი ძეგლი

ერთი წლის წინათ მნახველთათვის გაიხსნა ავლაბრის რესტავრირებული არალეგალური სტამბა, რომელიც მოწყობილი იყო ამხანაგ სტალინის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით.

ამ ხნის განმავლობაში ბოლშევიკური არალეგალური მუშაობის ეს შესანიშნავი ძეგლი 168 ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა. აქ ჩამოდიოდნენ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან: მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, ალმა-ატიდან და კიევიდან, ხარკოვიდან და ჩიტიდან, მინსკიდან და ბაქოდან, ტაშკენტიდან და ირკუტსკიდან და სხვა ქალაქებიდან.

ამას გარდა, აქ მრავალი უცხოელიც იყო. მიმდინარე წლის აგვისტოს მარტო 20 დღის განმავლობაში სტამბა დაათვალიერა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, საფრანგეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ბელგიიდან, ინგლისიდან და ახალი-ზელანდიიდან ჩამოსულმა რამდენიმე ათეულმა უცხოელმა ტურისტმა. 2 აგვისტოს, მაგალითად, აქ იყო ამერიკელთა ჯგუფი 28 კაცის რაოდენობით.

ექსკურსანტებზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს აგრეთვე შენობის ზემო ნაწილის ორი ოთახის დათვალიერება, სადაც მოწყობილია იმ დოკუმენტებისა და მასალების გამოფენა, რომლებიც სტამბის მუშაობას შეეხებიან. ერთერთ ოთახში თავმოყრილია ნამდვილი ისტორიული დოკუმენტები, ლენინისა და სტალინის ნაწარმოებნი, ბოლშევიკური ფურცლები, რომლებიც ამ სტამბაში იბეჭდებოდა ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე. (საქდეპი).

გ. სოლომონია

საქ. სახ. მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს უფროსის მოადგილე, მოსახლეობის აღწერის ბიუროს უფროსი.

მოსახლეობის 1939 წლის საკავშირო აღწერა

თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერა უნდა ჩატარდეს 1939 წლის 17 იანვარს.

მოსახლეობის აღწერა უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. აღწერამ, გარდა იმისა, რომ უნდა გვიჩვენოს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს მოსახლეობის ზუსტი რაოდენობა, ამასთანავე უნდა დაგვანახვოს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სოციალური, ნაციონალური, ასაკობრივი, პროფესიული და კულტურული შემადგენლობა.

მოსახლეობის აღწერის ჩატარება დაკისრებული აქვს სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს. აღწერის მაღალხარისხოვნად ჩატარება, უტყუარი და სწორი ციფრების მიღება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად ჩავატარებთ მოსამზადებელ სამუშაოებს.

საქართველოს აღრიცხვის სამმართველომ აღწერისათვის მზადების პირველი ნახევარი წლის შედეგები შეაჯამა, რამაც გვიჩვენა, რომ დღემდე ჩატარებული მუშაობა დამაკმაყოფილებელი არ არის. ზოგიერთმა რაიონმა გარდა იმისა, რომ მასალების გადმოგზავნის ვადა დიდად დაარღვია, ამავე დროს ვერ უზრუნველჰყო ყველა საჭირო მასალების წარმოდგენა. მოსახლეობის აღწერის ბიუროს დღესაც არ გააჩნია პირველი შემოწმების შედეგები მოსახლეობის რაოდენობაზე დასახლებულ ადგილთა სიის მიხედვით ადიგენის, ყაზბეგის, ყარაიას, ჩოხატაურისა და ზნაურის რაიონებიდან. დამთავრებული არ არის განმეორებითი შემოწმება მოსახლეობის სისრულისა დასახლებულ ადგილთა სიის მიხედვით 12 რაიონში — (აღბულაღი, ასპინძა, ბორჯომი, კასპი და სხვ.).

მთელ რიგ ქალაქებში დასრულებული არ არის სახლების ნომერაცია, ქუჩებს არა აქვს სახელწოდება, დაზუსტებული არ არის ქალაქის სქემატური რუკები და კვარტალები. ზოგან არასწორად არის შედგენილი სახლმფლობელთა სიები, მოუწესრიგებელია საბინაო დავთრები და სხვ. ამ სამუშაოთა შესრულება (ქალაქის სქემატური რუკის შედგენა, სახლების ნომერაცია, ქუჩების სახელწოდების მინიჭება, რუკებზე სახლმფლობელობათა გადატანა და სხვ.), საქ. სახკომსაბჭოს მიმდინარე წლის 8 თებერვლის დადგენილებით დაკისრებული ჰქონდა ქალაქის საბჭოებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქალაქის საბჭოები ამ სამუშაოებს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. მათ ჯერაც არ შეუდგენიათ ქალაქის სქემატური გეგმები (ბორჯომი, გორი, ზესტაფონი, ახალთუმანი და სხვ.), ხოლო 12 ქალაქის სქემატურ რუკებზე გადატანილი არ არის სახლთა ნომერაციები კვარტალების მიხედვით (ლუქსემბურგი, ლაგოდეხი, შაუმიანი, მანგლისი, ქუთაისი და სხვ.).

ქალაქის საბჭოებმა სასწრაფოდ უნდა მოახდინონ ამ სამარცხვინო ჩამორჩენის ლიკვიდაცია.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიმდინარე წლის 7 ივლისს განიხილა მოსახლეობის საკავშირო აღწერისათვის მზადების პირველი ნახევარი წლის შედეგები, და ჩატარებული მუშაობა სცნო არადამაკმაყოფილებლად. ამ საქმეში ჩამორჩენის ლიკვიდაციისა და მომავალი მუშაობის უკეთ გაშლის მიზნით ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი როგორც საქართველოს სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს ხაზით, ისე რაიკომებისა და რაიაღმასკომების ხაზითაც. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი რაიკომი ამ დადგენილებას დიდი დაგვიანებით გამოეხმაურა და მოსახლეობის აღწერის მზადების საქმეში ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის ზრუნვა მეორეხარისხოვან საქმედ ჩასთვალა.

ამჟამად სხვა სამუშაოებთან ერთად, განსაკუთრებული მუშაობა უნდა ჩატარდეს კადრების შერჩევის საქმეში. აღწერაში უნდა ჩავაბათ კარგად მომზადებული და პოლიტიკურად შემოწმებული პირები, რომლებიც პერსონალურად უნდა იქნან შემოწმებულნი. წინასწარი გამოანგარიშებით საქართველოში, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ჩათვლით, იმუშავებს სოფლად 4.000 აღმწერი, ქალაქად — 2.200, მატარებლებზე — 300 კაცი, კონტროლიორ-ინსტრუქტორები სოფლად — 1.200 კაცი, ქალაქად — 400 კაცი, სააღწერო განყოფილებების უფროსებად სოფლად — 170 კაცი, ქალაქად — 57, მათი თანაშემწეები სოფლად — 170 კაცი, ქალაქად — 57 კაცი და რაიინსპექტორების თანაშემწეებად — 74 კაცი. გარდა ამისა, გათვალისწინებულია აღმწერთა და ინსტრუქტორთა რეზერვი 30 პროცენტის რაოდენობით.

ამრიგად, გარდა სახალხო მეურნეობის რაიაღრიცხვის სისტემაში მომუშავე რაიინსპექტორებისა და უბნის ინსპექტორებისა, საჭიროა დაახლოვებით, რეზერვის ჩათვლით, 11 ათასზე მეტი კაცი. ამ მუშაკთა შერჩევა მოცემული დირექტივის საფუძველზე დიდი და პასუხსაგები საქმეა. აღწერისათვის საჭირო კადრები მობილიზებული იქნებიან:

ა) აღმწერლები ქალაქად და ქალაქის ტიპის ადგილებისათვის — 16 დღით;

ბ) აღმწერლები სოფლად — 22 დღით;

გ) ინსტრუქტორ - კონტროლიორები ქალაქად და ქალაქის ტიპის ადგილებისათვის — 29 დღით;

დ) ინსტრუქტორ-კონტროლიორები სოფლად — 34 დღით;

ე) სააღწერო განყოფილებათა უფროსები და მათი მოადგილეები ქალაქად და ქალაქის ტიპის ადგილებისათვის — 45 დღით;

ვ) სააღწერო განყოფილებათა უფროსები და მათი მოადგილეები — 60 დღით;

ზ) რაიაღრიცხვის ინსპექტორებისა და ქალაქის ინსპექტორების თანაშემწეები ა/წლის 1 ნოემბრიდან 1939 წლის 15 თებერვლამდე.

კადრების შერჩევას ახლავე უნდა შევუდგეთ იმ ვარაუდით, რომ მთლიანად დაკომპლექტება დასრულდეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისა.

თანახმად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებისა, რაიონთა რწმუნებულები, მათი მოადგილეები და განყოფილებათა უფროსები მტკიცდებიან მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოების მიერ სამხარეო და საოლქო აღმასრულებელ კომიტეტების სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს ორგანოებთან ერთად, ხოლო განყოფილების უფროსების თანაშემწეები და აღმწერლები რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების მიერ.

უკვე ჩატარებულმა უაღრესად დიდმა პოლიტიკურმა კამპანიებმა, როგორიც იყო სსრკ და საქ. სსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნები — ნათელჰყო ის გარემოება, რომ ჩვენ უზრუნველყოფილი ვართ საკმაოდ მომზადებული ახალი კადრებით. სასოფლო საბჭოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმო-დაწესებულებებში, სკოლებში და სხვ. ცოტანი როდი არიან მოწინავე ადამიანები, რომლებმაც აქტიური მუშაობით გამოიჩინეს თავი არჩევნების დროს. აი სწორედ აქედან უნდა შევარჩიოთ საჭირო კადრები.

მოსახლეობის სრულიად - საკავშირო აღწერაში მონაწილეობა დიდი და საპატიო საქმეა. ამიტომ კადრების შერჩევის საქმეში უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღონ როგორც რაიაღრიცხვის ინსპექტორებმა, ისე რაიონული და სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელობამ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დაშვებული რომელიმე აღმწერლის ზერელეთ, შეუმოწმებლად შერჩევა.

არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოება, რომ ხალხის საზიზღარი მტრების ნაშთები, ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშები ყოველთვის შეეცდებიან ხელი შეუშალონ აღწერის წარმატებით ჩატარებას. ეს მდგომარეობა გვავალებს ფხიზლად ვიყოთ და გასაქანი არ მივცეთ მტერს.

◆

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„რატომ ჩამორჩა ქობულეთის რაიონი ჩაის კრეფაში"

„კომუნისტის" 27 ივნისის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია სათაურით: „რატომ ჩამორჩა ქობულეთის რაიონი ჩაის კრეფაში". კორესპონდენციაში აღნიშნული იყო კონკრეტული მიზეზები ჩაის კრეფაში არსებულ ჩამორჩენისა და დასახელებული იყვნენ კონკრეტული დამნაშავენი. გარდა ამისა, წერილში მოყვანილი იყო საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მეორე მდივნის ამხ. ზოიძისა და რაიაღმასკომის თავმჯდომარის ამხ. გოგიტიძის მიერ კრიტიკის ჩახშობის ფაქტები.

საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივანი ამხ. ა. მელაძე გვატყობინებს: წერილში მოყვანილი ფაქტები ძირითადად სწორია. ჩაის კრეფის ჩამორჩენის მიზეზები იმაში მდგომარეობდა, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში ფართოდ არ იყო გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. მკრეფავებს სუსტად ჰქონდათ ათვისებული ჩაის ფოთლის კრეფის წესები, რაც იწვევდა რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფოთლის ნაწილობრივ დანაკარგებს და ხარისხის დაცემას (მაგალითად, ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, სოფ. ქაქუთის და სოფ. აჭის კოლმეურნეობები, კოლმეურნეობა „მუშა და გლეხი" და სხვ., აგრეთვე ჩაქვისა და ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობები).

ლენინის, მოლოტოვის და ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობებში ჩაის კრეფაზე მუშა-ხელი მაქსიმალურად არ იყო გამოყენებული, ჩაის ფოთლის მასობრივად შემოსვლისას ზოგიერთი კოლმეურნე სამუშაოზე არ გამოდიოდა. სუსტი იყო ქობულეთის რაიაღმასკომისა და სამიწათმოქმედო ორგანოების ოპერატიული ხელმძღვანელობა ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში.

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად რაიკომის ბიუროზე სპეციალურად მოსმენილ იქნა რაიონში ჩაის ფოთლის კრეფის ჩამორჩენის საკითხი. რაიკომის ბიურომ მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი ცალკეულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კრეფის წესების ზუსტად გატარების, მუშა-ხელის მაქსიმალურად გამოყენების, სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და სტახანოველთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის შესახებ.

ცნობა ხუცუბნის ჩაის ფაბრიკის დირექტორის ამხ. ა. კობახიძის ნაუდევრობით 1200 კილოგრამი ჩაის ფოთლის გადაწვის შესახებ არ დადასტურდა. ხუცუბნის ჩაის ფაბრიკა რაიონში პროდუქციის გადამუშავების მხრივ მოწინავედ ითვლება. მან ივლისში რაიონის გარდამავალი დროშა მიიღო.

რაიკომის ბიუროზე განხილულ იქნა საკითხი რაიაღმასკომის თავმჯდომარის ამხ. მ. გოგიტიძის და რაიკომის მეორე მდივნის ამხ. მ. ზოიძის შესახებ. დადასტურდა, რომ ამხ. ზოიძემ გაზეთ „საბჭოთა აჭარის" კორესპონდენტს ამხ. თოფუზ გაბაიძეს მისთვის წინასწარ შეუთანხმებლად რაიონის ზოგიერთ ხელმძღვანელზე წერა აუკრძალა. დადასტურებულია აგრეთვე, რომ ამხ. ზოიძემ და ამხ. გოგიტიძემ არ მიიღეს კრიტიკა, რისთვისაც რაიკომის ბიურომ ამხ. მ. გოგიტიძეს და ამხ. მ. ზოიძეს მისცა მითითება.

„მოსავლის უდანაკარგოდ აღება საფრთხის წინაშეა"

„კომუნისტის" 6 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი სათაურით „მოსავლის უდანაკარგოდ აღება საფრთხის წინაშეა". კორესპონდენციაში აღნიშნული იყო, რომ თიანეთის რაიონში მოსავლის აღება ნელი ტემპით მიმდინარეობს. დასახელებული იყო ჩამორჩენილი კოლმეურნეობანი და ჩამორჩენის მიზეზები.

საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის მდივანი ამხ. მ. მაჭავარიანი იტყობინება: წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ჩამორჩენილი კოლმეურნეობების მიმართ გაძლიერდა ხელმძღვანელობა. რაიკომმა გააფრთხილა სასოფლო საბჭოებზე მიმაგრებული პასუხისმგებელი ამხანაგები, რომ მიიღონ ყველა საჭირო ზომა მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის.

გერმანიის საომარი მზადება ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე

ანტიფაშისტურ განწყობილებათა ზრდა გერმანიაში

პრაღა, 21 აგვისტო (საკდესი). როგორც გერმანიის სილეზიიდან იუწყებიან, ეს ჩეხოსლოვაკიის მოსაზღვრე რაიონი ამჟამად ნამდვილ სამხედრო ბანაკად არის გადაქცეული. რეზერვისტთა სხვადასხვა ჯგუფები თითქმის ყოველდღე იღებენ უწყებებს სამობილიზაციო პუნქტებში გამოცხადების შესახებ. გაწვეულებს აშკარად უცხადებენ, რომ მათ უნდა გაითვალისწინონ არმიაში დარჩენა 15 სექტემბრის მანევრების დამთავრების ოფიციალური ვადის შემდეგაც. ჩეხოსლოვაკიის საზღვრებისაკენ ყოველღამე მოდიან ახალი და ახალი ნაწილები — უმთავრესად არტილერია. 17 აგვისტოს სილეზიაში ჩავიდა ეგრეთწოდებული „სუდეტელ გერმანელთა ლეგიონის" ერთ-ერთი დივიზია და რამდენიმე ათასი მოიერიშე. თვითმფრინავთა მთელი ესკადრილიები დღე და ღამ ახდენენ საშინაო გაფრენებს.

გაძლიერებით ატარებენ მუშების შემდგომ მობილიზაციას სამხედრო სიმაგრეთა მშენებლობაზე სამუშაოდ. იწვევენ არა მარტო მშენებლებსა და შავ მუშებს, არამედ კვალიფიციურ მელითონეებსაც. მუშების მობილიზაციასთან დაკავშირებით, ქალაქ ლიბაუში, ჰირშბერგსა და სხვაგან შეჩერებულია მუშაობა როგორც საცხოვრებელი სახლების, ისე სამრეწველო საწარმოების ყველა მშენებლობაზე. რკინიგზის ყველა სახელოსნო და დეპო მთელი დღეღამის განმავლობაში მუშაობს. ჰერინგის განკარგულებით, ორთქლმავლებისა და ვაგონების რემონტი დამთავრებული უნდა იქნას 1 ოქტომბრისათვის.

გაძლიერებული სამარი მზადების გამო მოსახლეობის უკმაყოფილების ზრდასთან დაკავშირებით, გესტაპო (გერმანიის საიდუმლო პოლიცია) ზურგის გადამწყვეტ „წმენდას" ატარებს.

სილეზიის ყველა სამრეწველო პუნქტში გაგზავნილია პოლიციის დიდი ძალები. პატარა დაბა მეჰბაჰტში, რომელიც ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე მდებარეობს, პოლიციელთა რიცხვი 18-დან 42-დე გაადიდეს. გესტაპო უამრავ დაპატიმრებას ახდენს მუშათა, კათოლიკურ და სხვა მასობრივ ორგანიზაციათა ყოფილ წევრებს შორის და, პირველ რიგში იმ მუშათა შორის, რომლებმაც უარი განაცხადეს წასულიყვნენ დასავლეთის საზღვარზე საფორტიფიკაციო სამუშაოთა შესასრულებლად. ქალაქ ჰინკენბურგში ამ სამი დღის წინათ კვლავ დააპატიმრეს 70 კაცი. ყველა საწარმოში გაძლიერებულ შპიონაჟს ეწევიან მუშების მიმართ და ნამდვილ ყაზარმულ წესრიგს ამყარებენ. მაგალითად, ლინკე-ჰოფმანის ფირმის საწარმოსა და სხვა სამხედრო ქარხნებში მუდმივად მორიგეობენ გესტაპოს აგენტთა ჯგუფები. „კონტროლი" ვრცელდება აგრეთვე მუშების თავისუფალ დროზედაც. ბინიდან წასვლისას მუშა ვალდებულია აცნობოს, თუ სად და რა მიზნით მიდის.

უკმაყოფილება მუშათა შორის დღითიდღე იზრდება. საწარმოებში აშკარად ლაპარაკობენ, რომ ჰიტლერი სამხედრო ავანტიურას ამზადებს. მუშები თავის უფროდაუფრო გაუარესებულ ეკონომიურ მდგომარეობას ომისათვის მზადებას უკავშირებენ. „დონერსმარკის" ფირმის ლითონის საწარმოებში ოფიციალურად შემოიღეს 10 საათის სამუშაო დღე. შრომის მძიმე პირობების მიუხედავად, მუშები მეტად დაბალ ხელფასს იღებენ.

უკმაყოფილება ფაშისტური ორგანიზაციების წევრთა რიგებშიც იპარება; ეს ორგანიზაციები სულ უფროდაუფრო ჰკარგავენ თავის მომხრეებს. დაბა ბეჰბაჰში ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინათ „სა"-ს (მოიერიშეთა რაზმები) 400 კაცი ჰყავდა, ახლა კი ეს რიცხვი 64-ზე ჩამოვიდა.

უსასტიკესი ტერორის მიუხედავად, ანტიფაშისტურმა ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალეს ომის საწინააღმდეგო პროპაგანდა. პროკლამაციები ჰიტლერის საომარ ღონისძიებათა წინააღმდეგ დიდი წარმატებით სარგებლობენ. შახტებსა და ქარხნებში ხშირად ჩნდება ანტიფაშისტური ლოზუნგები და პლაკატები. შვედნიცში, მაგალითად, ამ დღეებში ადგილობრივი საწარმოების სამქროებში და ვაგზალში ვაგონებზე აღმოაჩინეს წარწერები: „ხელები შორს ჩეხოსლოვაკიისაგან! ჰიტლერს სურს ომი, ჩვენ გვსურს მშვიდობიანობა!"

მშვიდობიანობის დარაჯი აღმოსავლეთ ევროპაში

კაუნასი, 21 აგვისტო (საკდესი). ბიულეტენმა „მემელერ პრესედინსტმა", რომელიც ლიტვის ინფორმაციას აწვდის ბალტიისპირა ქვეყნებს. ასეთი სათაურით მოათავსა წერილი, სადაც ეხება იაპონელთა პროვოკაციებს საბჭოთა შორეულ-აღმოსავლეთის საზღვარზე და სწერს: „არა მარტო საბჭოთა კავშირის ძლიერებამ, არამედ მის მიერ იაპონიის მიმართ დაკავებულმა პოზიციამაც იმ რწმენამდე მიგვიყვანა, რომ მშვიდობიანობის ყველაზე უძლიერესი გარანტი არის და დარჩება კიდეც საბჭოთა კავშირი. მშვიდობიანობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორია აგრეთვე არა მარტო წითელი არმიის ძლევამოსილება, არამედ საბჭოთა კავშირის ხალხთა გამამხნევებელი სულისკვეთებაც და მათი ურყევი სურვილიც არავითარ პირობებში არ დაუშვან თავდასხმა საბჭოთა კავშირის საზღვრებზე, საიდანაც უნდა მოხდეს ეს თავდასხმა".

„აღმოსავლეთ-ევროპის ხალხთა ღრმა რწმენას წარმოადგენს ის, რომ საბჭოთა კავშირს არც შორეულ აღმოსავლეთისა და არც თავის დასავლეთის საზღვარზე არ სურს გართულებანი. საბჭოთა კავშირს თავისი მოქმედებით არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ იგი დაინტერესებულია ბალტიისპირა სახელმწიფოების თავისუფლებითა და დამოუკიდებლობით და რომ იგი სრულიადაც არ ფიქრობს რითმე შეეხოს აღნიშნული სახელმწიფოების ინტერესებს".

რესპუბლიკელები გმირულად იგერიებენ მეამბოხეთა იერიშებს

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

აღმოსავლეთის ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს 20 აგვისტოს ცნობით, მეამბოხეთა და ინტერვენტთა ჯარმა გაძლიერებული საარტილერიო მომზადების შემდეგ 100 თვითმფრინავისა და 30 ტანკის დახმარებით 6-ჯერ მიიტანა იერიში რესპუბლიკელთა პოზიციებზე ვილიალბას მახლობლად. მაგრამ რესპუბლიკელთა ჯარმა ენერგიულად მოიგერია ყველა ეს შეტევა და ფაშისტების 4 ტანკი მწყობრიდან გაიყვანა. ამ იერიშების დროს მეამბოხეებს მოუკლეს და დაუჭრეს 2.000 კაცი. მეამბოხეებმა და ინტერვენტებმა ტანკების დახმარებით იერიში დაიწყეს აგრეთვე 444 მაღლობის სამხრეთით მდებარე რაიონში. რესპუბლიკელთა ჯარებმა ეს იერიშიც მოიგერიეს და მწყობრიდან გამოიყვანეს ერთი ტანკი. ფაშისტებმა ამ იერიშის დროს 500-ზე მეტი კაცი დაჰკარგეს. ამ იერიშის დროს რესპუბლიკელებმა გაანადგურეს მეამბოხეთა მთელი ასეული, რომელმაც იერიში მიიტანა რესპუბლიკელთა პოზიციებზე გვერდიდან.

რესპუბლიკელთა ჯარმა ჩამოაგდო ფაშისტთა ერთი „იუნკერსი". რესპუბლიკელთა ავიაციამ 19 აგვისტოს, საღამოთი, საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოაგდო გერმანელთა 7 „მესერშმიდტი", თვითონ კი დაჰკარგა 3 ავიაგამანადგურებელი. მეორე დღეს რესპუბლიკელთა თვითმფრინავები რამდენჯერმე შეებრძოლნენ ფაშისტთა თვითმფრინავებს. ამ ბრძოლებში რესპუბლიკელებმა 4 „მესერშმიდტი" ჩამოაგდეს და თვითონ ერთი თვითმფრინავი დაჰკარგეს.

ცენტრალური ფრონტი

ფრონტის ესტრემადურის უბანზე რესპუბლიკელებმა ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიეს მეამბოხეებს. რომლებმაც იერიში მიიტანეს რესპუბლიკელთა პოზიციებზე პენალსორდოს რაიონში.

ესპანის სააგენტოს ცნობით, 19 აგვისტოს, საღამოთი. გააფთრებული საარტილერიო სროლა გაიმართა მადრიდის ახლოს მდებარე სექტორებში. მეამბოხეთა ბატარეებმა ყუმბარები დაუშინეს ქალაქის ცენტრალურ უბნებს.

„სავოიას" ტიპის ფაშისტთა 5 თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა ნავსადგურ ბენიდორმს, რომელიც 30 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს ალიკანტეს ჩრდილოეთით. ფაშისტთა თვითმფრინავებმა თავისი ბომბარდირების ძირითად სამიზნად აირჩიეს ქალაქის ჰოსპიტალი. ზუსტი ცნობები ბომბარდირების შედეგთა შესახებ ჯერ კიდევ არ არის. ბენიდორმიდან მეამბოხეთა თვითმფრინავები ალიკანტესაკენ გაემართნენ და ქალაქში რამდენიმე ყუმბარა ჩამოჰყარეს. ადამიანთა მსხვერპლი არ არის, ვინაიდან მოსახლეობამ მოასწრო თავშესაფარებში დამალვა.

რესპუბლიკური ესპანეთის დაუცავი ქალაქების ბომბარდირების გამომკვლევი კომისიის მოღვაწეობა

პარიზი, 21 აგვისტო (საკდესი). ჰავასის სააგენტოს ცნობით, რესპუბლიკური ესპანეთის დაუცავი ქალაქების ბომბარდირების გამომკვლევი ინგლისის კომისიის წევრები დღეს თვითმფრინავით გაფრინდნენ ალიკანტედან ბარსელონაში. გაფრენის წინ მათ ალიკანტეს სამოქალაქო გუბერნატორის თანხლებით დაათვალიერეს ქალაქის მიდამოები და ნავსადგურები დენია, ვილიახოიოსა და ტორრევიეხა; რათა დარწმუნებულიყვნენ იმაში. რომ იქ სამხედრო ობიექტები არ მოიპოვება. ალიკანტეში რკინიგზაზე კომისიის წევრებმა გახსნეს მთელი რიგი საბარგო ვაგონები, რომ გამოერკვიათ ხომ არ არის მათში სამხედრო მასალები. ვაგონებში მხოლოდ სასურსათო საქონელი აღმოჩნდა. ალიკანტეს სამოქალაქო გუბერნატორმა განაცხადა, რომ ქალაქმა 25 მაისიდან, დაწყებული ფაშისტთა ავიაციის მხრივ 50-ჯერ განიცადა ბომბარდირება, რომლის დროსაც ჩამოყრილი იყო 1.400-მდე ყუმბარა. სამოქალაქო მოსახლეობაზე ფაშისტთა თვითმფრინავების ბარბაროსული თავდასხმის შედეგად ალიკანტეში მოკლულია 400 და დაჭრილია 1.000-ზე მეტი კაცი.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის მიერ ხანკოუელი და შანხაელი კორესპონდენტებისაგან მიღებული ცნობების მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

მდინარე იანძის სამხრეთ ნაპირზე მდგომარეობა შესამჩნევად უმჯობესდება ჩინელების სასარგებლოდ. ჩინეთის ჯარმა შეუპოვარი წინააღმდეგობით არა მარტო შეაჩერა იაპონელთა შეტევა ძიუძიანის სამხრეთით. არამედ კონტრშეტევაზე გადავიდა და იაპონელებს ძიუძიანისაკენ დაახევინა. მდინარე იანძის ნაპირების გასწვრივ იაპონლები პოზიციებს ინარჩუნებენ მხოლოდ ინტენსიური საარტილერიო ცეცხლით იმ სამხედრო გემებიდან. რომლებიც იანძიზე დგანან.

უკანასკნელ ბრძოლებში იანძის ხეობაში იაპონიის არმიამ დიდი დანაკლისი განიცადა. ჩინელებმა წაართვეს იაპონელებს 47 ტყვიამფრქვევი, 400-ზე მეტი შაშხანა, 50 აირწინაღი და სხვა სამხედრო საჭურველი. გაზეთ „სინვენბაოს" ცნობებით. ბრძოლებში ნანჩან-ძიუძიანის რკინიგზაზე იაპონიის დივიზია, რომელსაც ისიკავა სარდლობდა, სავსებით მოსპობილ იქნა, ხოლო მისი სარდალი მძიმედ დაიჭრა.

ჩრდილო ჩინეთში.

ჩინეთის შტაბის ცნობებით, ხებეის პროვინციაში მომქმედმა პარტიზანებმა დიდი თავდასხმა მოაწყეს დიდ სამაზრო ქალაქ ლუანჯოუზე.

ლუანჯოუში მდგარ მანჯოუგოს ჯარის ნაწილები, რომელთაც ჯოუ-ვეი-სიანი სარდლობს, იაპონელთა წინააღმდეგ აჯანყდნენ და ჩინეთის მთავრობის მხარეზე გადავიდნენ. როგორც იუწყებიან, ჯოუ-ვეი-სიანის რაზმები რეორგანიზებულია და შევიდნენ მეორე ანტიიაპონური არმიის შემადგენლობაში ჩრდილო ჩინეთში.

პარტიზანები დიდ აქტივობას ავითარებენ ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის ჩრდილო უბნის გასწვრივ.

ოსმალეთის ჯარი ედირიეში შევიდა

ანკარა, 21 აგვისტო (საკდესი). ანატოლიის სააგენტოს ცნობით, ოსმალეთის ჯარი ედირიეში (ადრიანოპოლი) შევიდა და დაიკავა მთელი სანაპირო ზონა, ტერიტორია, რომელიც წინათ დემილიტარიზებული იყო.

როგორც სააგენტო აღნიშნავს, ოსმალეთის ჯარის გადაყვანა მოხდა თავდაუსხმელობის შესახებ არსებული ხელშეკრულების გამო, რომელიც დადებულია მიმდინარე წლის 30 ივლისს სალონიკში ბოლგარეთსა და ბალკანეთის ანტანტის სახელმწიფოებს შორის. სალონიკის ხელშეკრულებაში თავდაუსხმელობის შესახებ აგრეთვე ნათქვამია, რომ ბალკანეთის ანტანტის ქვეყნები თანახმანი არიან უარი განაცხადონ ომის შემდეგ ნეიში 1919 წელს დადებული ხელშეკრულების დადგენილებათა (რომელიც ბოლგარეთის შეიარაღებას ზღუდავდა) და ფრაკიის საზღვრების თაობაზე არსებული იმ კონვენციის დადგენილებათა გამოყენებაზე, რომელიც ხელმოწერილია ლოზანაში 1923 წელს.

გერმანიის „გზადაბნეული" თვითმფრინავი თავს დაჰფრენს ბრიტანეთის სიმაგრეებს

ჟენევა, 21 აგვისტო (საკდესი). გაზეთი „ლა სუისი" ბეჭდავს ლონდონიდან მიღებულ ცნობას იმის შესახებ, რომ გერმანიის „გზადაბნეული" თვითმფრინავი მდინარე ტემზას შესართავთან თავს დაჰფრენს ბრიტანეთის სიმაგრეებს. ეს ცნობა მოთავსებულია სათაურით „როდესაც გერმანიის თვითმფრინავს გზა აებნევა, იგი გამაგრებულ რაიონს გადაჰფრენს ხოლმე".



ლ. მ. კაგანოვიჩის სახ. მოსკოვის მეტროპოლიტენის გორკის რადიუსი გახსნის წინ.

სურათზე: მიწისქვეშა ვესტიბულის საესკალატორო დარბაზი „ბელორუსკაიას" სადგურზე.
ფოტო ბ. იგნატოვიჩისა („სოიუზფოტო")

მეტროს გორკის რადიუსი გაშვების წინ

20 აგვისტოს მოსკოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ი. ი. სიდოროვის თავმჯდომარეობით შესდგა მოსკოვის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მეტროპოლიტენის გორკის რადიუსის ექსპლოატაციაში მიღების მთავრობის კომისიის მორიგი სხდომა. ირჩეოდა დასკვნები სამშენებლო-საგზაო, საარქიტექტურო, მოძრავი შემადგენლობის და ექსპლოატაციის და სხვ. ქვეკომისიებისა, რომლებმაც მიიღეს ახალი ხაზის ცალკეული ნაგებობანი. ქვეკომისიების საერთო დასკვნით, არავითარი დაბრკოლება არ არსებობს მეტროს გორკის რადიუსის ნორმალური ამუშავებისათვის. ძირითადი ნაგებობანი შესრულებულია მეტროს მშენებელთა მიერ ჩინებულად და კარგად. ხაზგასმით აღინიშნა, კერძოდ სადგურების არქიტექტურული გაფორმების მაღალი ხარისხი.

უახლოეს დღეებში კომისია მთავრობას წარუდგენს დასამტკიცებლად მეტროპოლიტენის გორკის რადიუსის მიღების აქტს.

* * *

20 აგვისტოს მოსკოვის მეტროპოლიტენის გორკის რადიუსი დაათვალიერეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა. მათ გაიარეს მატარებლით მთელი ტრასა, ისინი ჩერდებოდნენ სადგურებზე, ყურადღებით ათვალიერებდნენ მას და სტკბებოდნენ მოსკოვის მიწისქვეშა რკინიგზის ახალი ხაზის შესანიშნავი არქიტექტურით. (საკდესი).

საირმეს წყაროების გამოკვლევა

თბილისში ბაღდათის რაიონიდან დაბრუნდა მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გეოფიზიკური ინსტიტუტის ექსპედიცია.

ექსპედიციამ ჩაატარა საირმის ექვსი მინერალური წყაროსა და კლიბულის ერთი წყაროს რადიაქტივობის გამოკვლევა. პირველის წყარო ცნობილია როგორც თირკმელების ავადმყოფობათა, ხოლო მეორე კუჭის ავადმყოფობათა მკურნავი. ექსპედიცია ამუშავებს მოპოვებულ მასალებს. საირმისა და კლიბულის წყაროების გამოკვლევის შედეგები გამოქვეყნდება. (საქდესი).

თბილისის მოწაფე-ჩოგბურთელთა გამარჯვება

15-დან 18 აგვისტომდე მოსკოვში მიმდინარეობდა მოწაფეთა სრულიად-საკავშირო შეჯიბრება ჩოგბურთში.

წინასწარ გათამაშებაში მოწაფე ჩოგბურთელების თბილისის გუნდმა ვანო ელეოდაშვილის, პავლიკ პოდპორინის, ბორის რუდნევის, რაჩიკ გრიგორიანის, ქენია ჭანიშვილის, ნუნუ ხელაიას, მერი პოპოვას და იუნონა ბელორუჩევას შემადგენლობით ბრწყინვალედ მოუგო სარატოვის (6:1), გორკისა (6:1) და კიევის (7:0) გუნდებს.

18 აგვისტოს, შეჯიბრების უკანასკნელ დღეს, მოხდა ფინალური შეხვედრა თბილისისა და მოსკოვის ჩოგბურთელთა შორის.

ეს შეხვედრაც თბილისის მოწაფეების გამარჯვებით დამთავრდა.

ამრიგად შეჯიბრებაში პირველობა თბილისის გუნდმა მოიპოვა. (საქდესი).

ალპინიზმი

ლაშქრობა მყინვარწვერზე

ყაზბეგი, 21 აგვისტო (ტელეგრაფით „კომუნისტის" რედაქციას). დამთავრდა კომკავშირის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ალპინისტური ლაშქრობა მყინვარწვერზე, რომელიც მოწყობილი იყო სასპორტო საზოგადოება „მეცნიერებასა" და ქუთაისის პედინსტიტუტის კომკავშირის ორგანიზაციის მიერ.

ლაშქრობა დაიწყო 10 აგვისტოს ქუთაისიდან. მისი მონაწილეები ონში ავიდნენ ავტოთი, ხოლო აქედან კი ფეხით გადავიდნენ ჩრდილო ოსეთში და ხევის გავლით შეუდგნენ მყინვარწვერს.

მოლაშქრეები მთელი შემადგენლობით 20 აგვისტოს უკვე მყინვარწვერზე იყვნენ, სადაც აღმართეს ლითონის დროშა ლენინისა და სტალინის გამოსახულებებითა და შესაფერისი წარწერით.

ლაშქრობის ხელმძღვანელი
მიქელაძე
ასვლის ხელმძღვანელი
სანებლიძე
ლაშქრობის კომისარი
ჟანტურია
კომორგი **ჩიკვაიძე**

ქიმოტოს მწვერვალზე

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა და თელავის სპორტულმა ორგანიზაციებმა ჩაატარეს ალპინიადა მთათუშეთის მწვერვალ ქიმოტოზე. ალპინიადა მიძღვნილი იყო კომკავშირის 20 წლისთავისადმი.

ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო 45 კაცმა, მათგან 22 კომკავშირელმა. ალპინიადის მონაწილენი თორღვას აბანოს გადასასვლელით გადავიდნენ მთათუშეთში, შემდეგ კი, პირიქითული ალაზნის აყოლებით—სოფელ ქეშაში. სულ ფეხით გაიარეს 120 კილომეტრი, მეხუთე დღეს მოექცნენ ქიმოტოს ძირას. იქიდან დაიწყო იერიში მწვერვალზე. ალპინიადა მთელი შემადგენლობით ავიდა ქიმოტოს წვერზე, სადაც ატანილ იქნა ამხანაგ სტალინის ბიუსტი და დროშა. ალპინიადაში ინსტრუქტორებად გამოყენებულ იქნენ თუში მწყემსი-ალპინისტი ექვთიმე თავბერიძე და მონადირე სიმონ ინაურიძე. ალპინიადას ხელმძღვანელობდნენ ქ. ჯავრიშვილი და უფროსი ინსტრუქტორი ო. გიგინეიშვილი.

გადაწყდა თელავში დაარსდეს საქართველოს ალპიური კლუბის ფილიალი.

ბორის ძნელაძის მწვერვალი

12 აგვისტოს საქართველოს ალპიური კლუბის წევრებმა მოაწყეს ექსპედიცია უსახელო მწვერვალზე მდინარე ხდის სათავეში. (სიმაღლე 4.400 მეტრი). ახლად აღებულ მწვერვალს ეწოდა საქართველოს კომკავშირის დამაარსებლის, ბორის ძნელაძის სახელი.

ასვლა გადაღებულ იქნა სახკინმრეწვის მიერ.

პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ შესაძლებლობა მოგვცეთ „კომუნისტის" საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ იმ ორგანიზაციებსა და პირებს, რომლებმაც თანაგრძნობა გამოგვიცხადეს დრამატურგ ნიკო შიუკაშვილის გარდაცვალების გამო და პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას.

ნიკო შიუკაშვილის ოჯახი

საქ. ალკკ 20 წლისთავისათვის

საქ. ალკკ 20 წლისთავთან დაკავშირებით საქფილმის კინო-ქრონიკა ამჟამად გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს.

საიუბილეო დღეებში გამოშვებული იქნება მხატვრული დოკუმენტალური კინო-ნარკვევი „მზიური საქართველოს ახალგაზრდობა". ნარკვევში იქნება ორი ნაწილი. იგი მოგვითხრობს საქართველოს სტახანოველ კომკავშირელებზე და წარჩინებულ ახალგაზრდებზე, რომლებმაც სტახანოვურ მოძრაობაში, საწარმოო გეგმების გადაჭარბებითი შესრულებით ისახელეს თავი. კინონარკვევს დგამს კომკავშირელი რეჟისორი ამხ. შ. ჩაგუნავა.

ამავე დროისათვის გამოვა ტურისტული კინო-ნარკვევი „საქართველოს სამხედრო გზა", რომელსაც დგამს კომკავშირელი რეჟისორი ამხ. ვ. ვალიევი და „ახალი სვანეთი". ეს ნარკვევი მოგვითხრობს განახლებულ სვანეთზე და მის ახალგაზრდობაზე. ამასთან ერთად ნაჩვენები იქნება ოდესღაც მიუვალ მთა უშბაზე სვანების მასობრივი ასვლა. კინო-ნარკვევს აკეთებს კომკავშირელი ოპერატორი ამხ. ნ. ლისიცინი.

გამოშვებული იქნება აგრეთვე ორი ჟურნალი: თელავის რაიონული ალპინიადა კომიტოს მთაზე ასვლის დროს, მიმდინარე წლის გაზაფხულზე (მონტაჟი კომკავშირელ ამხ. ლ. არზუმანოვისა) და აგრეთვე ყაზბეგის რაიონში მთა ჯიმარაიხოხზე ასვლა. ამ უკანასკნელი ასვლის მთლიანი გადაღება და გაკეთება მინდობილი აქვს კომკავშირულ გადამღებ ჯგუფს.

ამინდი

21 აგვისტოს დასავლეთ საქართველოში იყო ცვალებადი მოღრუბლულობა, სიმშრალე, ჰქროდა სუსტი ქარი. ყველაზე დაბალი ტემპერატურა (28 გრადუსი) აღნიშნული იყო ანასეულში (მახარაძის რაიონი), ყველაზე მაღალი (33 გრადუსი) — ონში, ტყიბულსა და წიფაში.

აღმოსავლეთ საქართველოში იყო მოწმენდილი, მშრალი ამინდი, ჰქროდა სუსტი ქარი. ყველაზე დაბალი ტემპერატურა (17 გრადუსი) აღნიშნული იყო ყაზბეგში, ყველაზე მაღალი (35 გრადუსი) — თბილისსა და ყარაიაში.

დღეს თბილისის მიდამოებში მოსალოდნელია მცირე მოღრუბლულობა, სიმშრალე, სუსტი ქარი, ტემპერატურა 20 გრადუსიდან ღამით 35 გრადუსამდე დღისით.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

23 აგვისტოს:

აგიტაციის კაბინეტი — ლექცია თემაზე: ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკურ-ეკონომიური მიმოხილვა, ქართულ ენაზე; კონსულტანტი ამხ. ჟორჟიკაშვილი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საერთაშორისო პოლიტიკის კაბინეტი — ლექცია თემაზე: ინგლისის საგარეო პოლიტიკა და თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა. რუსულ ენაზე, კონსულტანტი ამხ. ი. რუხაძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი.

„კომუნისტის" რედაქციასთან არსებული

ძირეული პრესის მუშაკთა კურსების

მსმენელთა მორიგი მეცადინეობა შესდგება რედაქციის შენობაში (რუსთაველის პროსპ. № 16)

დღეს, 23 აგვისტოს, საღ. 8 ს.

მსმენელებს ვთხოვთ გამოცხადდნენ დაუგვიანებლივ.

საქფილეგთის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 129, ტელ. 3-18-50
სტალინგრადის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები
23 აგვისტოს ტალონი № 84
პატარძლების ბაზრობა
24 აგვისტოს
მხიარული ქვრივი
25, 26 აგვისტოს (უკანასკნელად) ტალონი № 86, 87
პრემიერა უკანასკნელი ჩარდაში
დასაწყისი საღ. სრულ 9 საათ. 15 წუთზე
ვისაც მუდმივ ადგილებზე მესამე გადასახდელი შეტანილი არ ექნება, მას სპექტაკლებზე არ დაუშვებენ.

საქფილეგთის ღია ესტრადა
23 აგვისტოს
უკანასკნელი გასტროლი
სომხეთის სსრ ხალხური ინსტრუმ. ანსამბლისა
მერანგულიანის
ხელმძღვანელობით
24 აგვისტოს
ქართული ესტრადა
დაწვრილებით აფიშებში
ღია ესტრადაზე შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით. დასაწყისი 10 ს.

საქფილეგთის დირექცია აცხადებს მუდმივი ადგილების პროლონგაციას
ვადის გაგრძელებას ა. წ. სექტემბრის დამლევამდე
(22 დამატებითი სპექტაკლი).
სპექტაკლებში მონაწილეობას მიიღებენ: სსრ კავშირის სახალხო არტისტი დერჟინსკაია, ლიუბოვ ორლოვა, ქეთო ჯაფარიძე, თამარ წერეთელი. მიხეილ გარკავი, რინა ზელიონაია, რაფაელ კორფი, ლევ რუდინი და სხვ.
პროლონგაციას აწარმოებს საქფილეგთ. ყოველდღე. აგრეთვე რწმუნებულები (რწმუნებულთა გამოძახება ტელეფონით № 3-02-29).
ვისაც 25 აგვისტომდე მუდმივ ადგილებზე მე-3 გადასახდელი შეტანილი არ ექნება, მას სპექტაკლებზე არ დაუშვებენ.
დირექცია.

30 აგვისტოს
ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი
30 აგვისტოს
ყველანი კარნავალზე!
ყველა ესტრადაზე კონცერტები. „საუცხოო მუზეუმი", „ძველი ბაზრობის ბალაგანი", სახუმარო მასობრივი თამაშობა
კარნავალი 5000 მოგება.
„სულთქმის და ოცნების ხეივანი", აფორიზმების ხეივანი, „მოლანასრედინა", „ფეიერვერკი—ცეცხლოვანი კარნავალი". დაწვრილებით კარნავალის განაწესში სპეციალურ მაჩვენებელში. ბილეთების რიცხვი განსაზღვრულია.
51

საქ. ჯანსახკომის ქ. თბილისის საბებიო სკოლაში
1938-39 სასწავლო წელს ახლათ შემომსვლელ მოწაფეთა განცხადებების მიღება ქართულ და რუსულ სექტორზე
გაგრძელებულია 29 აგვისტომდე.
მიღების პირობები იკითხეთ აღნიშნული სკოლის კანცელარიაში მელიქიშვილის ქ. № 9, 10-დან 2 საათამდე.
1284
დირექტორი პროფ. სოლესლიანსკი.

თბილისის კომუნალური მშენებლობის ტექნიკუმი
განაგრძობს შემსვლელთათვის დამატებითი განცხადებების მიღებას.
ტექნიკუმი ამზადებს ტექნიკოსებს შემდეგი განხრებით: კომუნალური მშენებლობისა და საარქიტექტურო მშენებლობისა. ტექნიკუმში მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის (შვიდწლედის) კურსდამთავრებულნი ორივე სქესისა 15—25 წ. ასაკით. დამატებითი გამოცდები დაიწყება 28 აგვისტოდან შემდეგ საგნებში: დედა-ენა (წერითი და ზეპირი), მათემატიკა (წერითი და ზეპირი), ისტორია, რუსული ენა (წერითი და ზეპირი).
განცხადება მიიღება ტექნიკუმის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: შვიდწლედის დამთავრების მოწმობა, წლოვანების, ჯანმრთელობის მოწმობები, ავტობიოგრაფია, ორი ფოტოგრაფიული სურათი.
საარქიტექტ. განხრაზე დამატებითი გამოცდა ხატვაში. მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და საერთო საცხოვრებელი ბინით საერთო წესით.
მისამართი: თბილისი, საბურთალო, კომბაინერთა (რუისის) ქუჩა № 49.
222
კომ. მშენ. ტექნიკუმის დირექტორი ჭავჭანიძე.

საქ. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის კულტპოლიგრაფსამმართველო
ამით აცხადებს საქართველოს ყველა გამომცემლობათა და სტამბების საყურადღებოდ,
რომ 1939 წლისათვის განაცხადი პოლიგრაფიულ მასალებზე წარმოდგენილ უნდა იქნას საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის პოლიგრაფკულტსამმართველოში თბილისი პუშკინის ქ. № 3.
განაცხადის წარმოდგენის ვადად ქალაქ თბილისში არსებული გამომცემლობისა და სტამბებისათვის აღნიშნულია 1938 წ. 27 აგვისტო, ავტონომიური რესპუბლიკების და რაიონების გამომცემლობებისა და სტამბებისათვის 1938 წ. 1 სექტემბერი.
განაცხადი შედგენილ უნდა იქნას მოცემული ფორმებისა და მითითების საფუძველზე. აღნიშნული ვადების შემდეგ განაცხადები არ მიიღება.
224
პოლიგრაფკულტსამმართველოს უფროსი ლოხიშვილი

მისამართი რედაქციის — თბილისი რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სადივნოსი 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის 3-57 61 სასოფლო სამეურნეოს 3—73—40
მშრომელთა წერილების 3 73 24; პმმ მორიგის 3 26 67 გამომცემლობის 3-51—81; სტამბის დირექტორის—3—27—04, ხელნაწერებს ავტორებს არ უბრუნებენ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—1437